# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | ორშაბათი, 4 მაისი 1998 №65 (600) | ფასი 40 თეთრი


სოუსა
ცენტრალური
2 მაისი

**ტუნისი 1:1 საქართველო**

**ტუნისი:** ელ უაერი, ჰ. ტრაბელსი, კლეიტონი, ს. ტრაბელსი, ბუკადიდა, ფეკი, ბადრა, სუაია, გოდბენი, ბენ იუნესი, ბელჰასენი (ბუმნიჯელი, ნუირა, ბენ აჰმედი, კანზარი, ბუაზიზი, შრუდა)
**საქართველო:** გვარამაძე, კალაძე, ცხადაძე, სილაგაძე, შეყილაძე, კობიაშვილი (ცქიტიშვილი 66), ნემსაძე, ჯამარაული, ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე
0:1 ქინქლაძე (40), 1:1 ბენ იუნესი (80)
**გაფრთხილებები:** კობიაშვილი, გოდბენი, ქეცბაია, ბენ აჰმედი
**მსაჯი:** ქ. ა. ბერბერი (ალჟირი)

# სუპერგოლის გატანაც ვიცით და... არც გაშვება დაგვავიწყნია

შაბათს ყველა ფეხბურთის მოყვარულმა და უცხოურ არხთა ხილვით განებივრებულმა ქართველმა საკუთარი თეფში აფრიკული სატელიტისკენ მიმართა, ანაც „აიეტი ტვ"-ის ჩაუჯდა. ხუმრობა როდია, საქართველოს ნაკრებმა ახალი მწვრთნელის თავკაცობით აქამდე სამი მატჩი გამართა და ის მატჩები თავად ფეხბურთელებისა და ორად-ორი ჟურნალისტის ჩათვლით ჰა, ჰა 40 ქართველს თუ ეხილა.

გაგიგიათ, ლამის ყველა ჩვენებურ ქომაგს, ნაკრების სათავისო შემადგენლობა თუ ტაქტიკა შერჩეული რომ აქვს, შაბათამდე შანსი არ მისცემია ეროვნული გუნდის თამაშისთვის მოწყალე თუ კრიტიკული თვალი შეევლო.

2 მაისს ქუთაისის „ტორპედოს" ვეტერანებს მოსკოველი კოლეგები დიდრუსეთის დედაქალაქიდან ესტუმრნენ, „გურია" კი თბილისში ლანჩხუთიდან არ მიეახლა „ვიტ ჯორჯიას". და რომ ჩამოსულიყო, ეს სწორედ იმ დღეს იქნებოდა, ჩვენს ნაკრებს ამხანაგური მატჩი რომ ჰქონდა.

რა სოუსა და რა მოსკოვი თუ ლანჩხუთი, სხვისი არ ვიცი და, მე რომ მკითხოთ, სანაკრებო მატჩის დღეს საფეხბურთო მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს, თუნდაც ექსპერიმენტის სახით ქვეყანას შუქი მიეწოდოს და იმ არხებით, სამსოფლიოსჩემპიონატოდ განმკოდველის ყიდვას რომ გვიკიჟინებენ, როცა ეს შესაძლებელი იქნება, ნაკრების მატჩი უნდა გადმოიცემოდეს.

სხვა თუ არაფერი, ის მაინც არ უნდა ვიცოდეთ, გვცემენ თუ არა ტუნისელი არაბები პატივს, მეტოქის ჰიმნზე სატირალში ჩამომსხდრებივით რომ გაისუსნენ, საკუთარს კი ფეხზე წამოდგომით შეეგებნენ?

მოკლედ პირველი და საგულისხმო, რაც



შოთას დაღლა ეტყობოდა, „აიაქსის" მრისხანე ფორვარდს ხშირად ასწრებდნენ

REUTERS

ვიხილეთ, ეს გახლდათ. ეს კი, სულ მცირე, იმას ნიშნავდა, ტუნისელთა კარს მიახლოებულ ქართველს სალამ-ქალამით რომ არ დახვდებოდნენ. ვინ, ვინ და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე, თუნდაც აფრიკის ზონიდან, სერიოზული ძალაა, ფინალურ ჯგუფში ინგლისს, კოლუმბიას და რუმინეთს შეამხანაგებული ტუნისი ერთი-ორი გოლის გატანას მაინც აპირებს და, ცხადია, ასეთი გუნდი ხელებჩაშვებული არც ჩვენს ნაკრებს დაუხვდებოდა.

ტელევიზორის ჭუჭრუტანიდან დანახულით ძნელია სრული სურათის დახატვა და აქედან გამომდინარე სერიოზული სჯაბაასი. და მაინც, ვცადოთ გუშინწინდელ საღამოს ნანახის გახსენება.

დავით გვარამაძეს გოლამდე თავი თამამად და ღირსეულად ეჭირა. მეორე ტაიმის დასაწისში ხოსე კლეიტონის, შუაწელში კი ბენ იუნესის ძლიერი დარტყმა სასწაულებრივად მოიგერია. კოშკამ ნაჯაფი მატჩის მიწურულსღა ჩაყარა წყალში — ზედმეტი ინიციატივა გამოიჩინა, არადა, მცველებთან ერთად გამოსვლისას უმოწყალოდ შეცდა. რომ არა ეს შეცდომა, გვარამაძე ქართველთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იქნებოდა.

კახი კალაძე პირველ ტაიმში ხშირად ცდებოდა პოზიციურად, საკუთარ ზონას არცთუ იშვიათად ტოვებდა და შეტევაშიც მოუქნელად ერთვებოდა.

კახი ცხადაძეს უთამაშებლობა ყველაზე მეტად მას ეტყობოდა, მაგრამ დაცვას სარგებელიც მისცა, რამდენჯერმე ბურთი საჯარიმოდან დროულად გამოიტანა. საერთო ჯამში კი საკუთარ შესაძლებლობებში დაეჭვებული ჩანდა. გაშვებული გოლი მის სინდისზეცაა.

ლევან სილაგაძე მონდომებით კი, მაგრამ უშეცდომოდ ვერ გაისარჯა. არადა, ტუნისელებს პირველ ბურთს ხშირადართმევდა. ყველაზე შესამჩნევი შეცდომა მაინც ბენ იუნესის გოლისას დაუშვა, ეს უკანასკნელი მისი სამეურვეო ობიექტი იყო.

გელა შეყილაძე ჩვეულად მშვიდად, ჟინიანად ითამაშა, თუმცა რამდენჯერმე კლეიტონი დაუსხლტა, და მაინც ეს შეცდომები მისი ბრალი არ იყო. სხვა დროს კი ორთაბრძოლებს იშვიათად აგებდა.

ლევან კობიაშვილიზე უკეთ პირველ ტაიმში მხოლოდ ქინქლაძე გამოიყურებოდა, გიის გოლამდე წამებით ადრე კობის შეეძლო ეხეირა, მაგრამ მეკარე ელ უაერმა დაასწრო. აქამდე ქეცბაიას კუთხურ ჩაწოდებაზეც შეეძლო გატანა, მაგრამ ერთხელაც დაადასტურა შეტევის დასაბოლოებლად ბევრი მუშაობა რომ მართებს.

გიორგი ნემსაძემ როგორც არასდროს, ისე სუსტად ითამაშა. დამძიმებული ჩანდა. იქნებ ეს ტვირთი ნაკრების ახალი კაპიტნობა იყო. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ასე რომ გააგრძელოს, ნემსო კაპიტნობასაც დაკარგავს და ძირითადის მაისურსაც.

გოჩა ჯამარაული ტრადიციულად უფრო ფეთქებადი გახლდათ, ვიდრე სტაბილურად გარჯილი. გუნდურ თამაშში კი ეწერა, ორჯერ შოთას და ქეცბაიას კარგი პასებიც მიაწოდა და შორიდანაც კარში დაჰკრა.

თემურ ქეცბაიამ მეორ ტაიმში უფრო ძლიერად ითამაშა, მაგრამ თავდასხმაში გამწესებული, მაინც სიღრმიდან უტევდა. შანსი მიეცემოდა თუ არა, კარისკენ ურტყამდა, ერთხელ გატანას სულ ცოტა დააკლდა.

მოსუქებული გიორგი ქინქლაძე მაინც უფრო ლოკალურად სახიფათო იყო, ვიდრე სახელის შესაფერად საშიში. არადა, ორჯერ დაამტკიცა, რაგინდ უვარჯიშებელიც უნდა იყოს, ასეთი ფეხბურთელის არად ჩაგდება არ ეგების. ცოდოა, ვინც მისი თავაულებლად ძელს გარტყმული და დიდებულ დრიბლინგს მოყოლილი დიდებულივე აბრაგანი გოლი ვერ ნახა.

და შოთა არველაძე. ასე თამაში არც არჩილს სჩვევია, თორემ მასში უეჭველად აგერეოდათ. კი, შოთა ბურთს ნაკლებად კარგავდა, მაგრამ მოვლენათა ცენტრშიც ცოტაჯერ იყო. ერთხელ გატანა თუ არა, კარში ზუსტად დარტყმა მაინც ევალებოდა, მაგრამ ააცილა.

ლევან ცქიტიშვილი თამაშში მშვენივრად ჩაერთო. ახალშესული თანაგუნდელებშიც გამოირჩა, მაგრამ საგოლე შანსი რომ არ გამოიყენა, ახალგაზრდულად შეცდა. შესანიშნავ პოზიციაში დრიბლინგით გასულმა, მოვალე რომ იყო გაეტანა, არ დაარტყა და შოთას გადალოდებულ მცველს დაუგორა.

ფეხბურთელთა ეს მოკლე-მოკლე დახასიათება იმად დაგვჭირდა, წინა მატჩებთან სხვაობა დაგვენახა. მაგრამ ამ განსხვავებას ერთად ასხმული მათი თამაში უფრო თვალსაჩინოს ხდიდა.

ზემოდანაც ჩანს, დაცვას ბევრი საქმე რომ ჰქონდა, მაგრამ რაკი გაშვებით ერთადერთხელ გაუშვა, ჩანს, მთლად ურიგოდ მაინც არ გარჯილა.

თვალშისაცემი შეტევის სწორი მიმართულება, უკეთ კი უაზრო უკანპასზე უარი იყო. სხვა საქმეა, რომ შეტევები გოლით ერთადერთხელ დაგვირგვინდა. ასეთი დიდებული გოლი კი, სხვისი რა გითხრათ და, საქართველოს ნაკრებს და თავად ქინქლაძეს ხუთ წელიწადში ერთხელ გააქვს.

სიახლე შორეულ დარტყმათა არაერთგზისი მცდელობა იყო. მერე რა, რომ მიზანი ჯეროვნად ჯერაც ვერ გაგვისწორებია.

ერთიც გვენიშნა. ამ „უმნიშვნელო", ამხანაგურ მატჩში ორი გაფრთხილება, თან მხოლოდ მსაჯთან კამათისთვის მეტისმეტია, ისე ჩანდა, მსაჯობაზე სამდურავი ძნელად გვეთქმოდა.

შეგვეძლო მოგვეგო, მაგრამ ამხანაგურ შეხვედრაში ურიგო არც ფრე იქნება, თუ ამით მეტს ვისწავლით. ცხადი ერთია, ნაკრებს ასეთ თამაშთა სიმრავლის გარეშე ბევრს ვერაფერს მოვთხოვთ, რადგან გუცაევს სამუშაო კვლავ ჭარბადა აქვს.

**ვახტანგ ბზიკაძე**

## სანამ არ გააგიჟეს...

გუშინ ქართველ ფეხბურთის ქომაგთ სალაპარაკო ერთი ჰქონდათ — ნახე, ქინქლაძემ რა ბურთი გაიტანა? სასწაული იყო, ამისთანა ათასში ერთხელ ხდებაო.

ქინქლაძეს ტუნისთან მატჩის შემდეგ „სიტის" ხელმძღვანელობამ ჩარტერული თვითმფრინავი დაახვედრა და „სტოკ სიტისთან" სათამაშოდ აფრინა.

**— გიო, ასეთი გოლის გატანა იქნება? რა დაგიშავეს ამისთანა ტუნისელებმა?**

— სანამ არ გამაგიჟეს, არ დაისვენეს.

**— მაინც რა უნდოდათ?**

— ჩამილურჯეს კოჭები, ბურთს მივიღებდი თუ არა, ჩემზე იყვნენ დაგეშილები.

**— ამან გაგაბრაზა?**

— ნერვები მომეშალა. თუმცა გოლთან ამას არაფერი აქვს საერთო. იმ მომენტში არ შემხებიან. მართლა ლამაზი რამ გამოვიდა. როცა ერთი მოვატყუე, წინ მეორე შემეფეთა, პასს მივცემ-მეთქი, მაგრამ დრო აღარ მქონდა, გაშლილი ფეხები შევნიშნე და გავუტარე კიდეც ბურთი. მერე გზად მესამე დამიხვდა, მის მოტყუებასაც ვაპირებდი, მაგრამ მეკარის ამბავი გამახსენდა, თვალი მისკენ გავაპარე და წინგამოსული დავინახე თუ არა, აღარ დავაყოვნე.

**— მეკარის ამბავი გამახსენდაო. იმას გულისხმობ, ბურთი ძელს რომ მოარტყი?**

— გული დამწყდა ძელს რომ მოხვდა. შოთას გავხედე, პასს ითხოვდა, მაგრამ ელ უაერი წინ იყო. მეც დავარტყი. თავიდან გოლი მეგონა, კარში მიდიოდა, მერე კი, ბურთმა ჰაერში მოუხვია და ძელზე დამიზნებული გამოვიდა.

**— და „სიტი" რომ პირველი დივიზიონიდანაც გავარდა?**

— რა ვქნა, რითაც შემეძლო, დავეხმარე. ხომ იცი, თავს ზემოთ ძალა არ არის. თვითმფრინავი დამიქირავეს „სტოკ სიტისთან" გაჭირვების დროს სათამაშოდ, მაგრამ როცა სტადიონზე მივედი, 4:1-ს ვიგებდით, აზრი აღარ ჰქონდა ჩემს თამაშს, თუმცა ბოლო 15 წუთი გულშემატკივრებისთვის ვითამაშე.

იხილეთ მეორე გვერდი

# გიორგი ასანიძეს ევროპის ჩემპიონობამდე გრამები დააკლდა

## ამ ვერცხლის ფასი სხვებმა რა იციან?!



გიორგი ასანიძე

მართლაც გასაკვირი ამბავია: ის შავი დღენი, რაც ამ ბოლო წლებში ჩვენმა სპორტსმენებმა გადაიტანეს, ბევრ მათ უცხოელ კოლეგას სპორტისკენ აღარც გაახედებდა, არათუ კარიერის გაგრძელებასა და სამომავლო წარმატებებზე ეფიქრათ. ამიტომაც არის უეჭველი ის აზრი, რომელსაც ხშირად ვუზიარებთ ერთმანეთს, მრავალჭირგადანახადი ქართველი სპორტსმენის პრიზიორობა ამა თუ იმ მაღალი რანგის ტურნირში ჩემპიონობის ტოლფასიც კია, ერთი სხვებს მოსწრებოდათ ეს ამბები და ვნახავდითო...

სხვებმა რა იციან, რა უნახავთ, რა ანაღვლებთ, ისევ ჩვენ თუ გავიკვირვებთ და ვიტყვით „ყოჩაღ!", როცა ჩვენიანის წარმატების ამბავს შევიტყობთ.

ჰოდა, მართლაც ძალიან ყოჩაღ, გიორგი ასანიძევ!

გერმანიის ქალაქ რიესაში, ძალოსანთა ევროპულ პირველობაზე გიორგი კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი გახდა. 77 კილოგრამი წონის ძალოსნებში მან და ბულგარელმა ზლატან ვანევმა ორჭიდის ჯამში 360-360 კილოგრამი დააგროვეს, ჩემპიონის ოქროს მედლის ბედი ბულგარელის გრამებით სიმსუბუქემ გადაწყვიტა, ასანიძეს კი ვერცხლი დარჩა.

ზემოთ რომ შავი დღეები ვახსენეთ, ამას გიორგის იმჟამინდელი სატურნირო უიღბლობანი და ხათაბალანიც დაერთო, მან კი ამ ყოველივეს გაუძლო, კარიერაც გადაირჩინა და ევროპულ კვარცხლბეკზეც აბიჯა. შეუპოვრობაც ასეთი უნდა!

კიდევ ერთმა ჩვენებურმა, საბერძნეთის სახელით მოასპარეზე ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კახი კახიაშვილმა (ჩემპიონატის ოქმებში აკაკის კაკიაშვილისად წოდებულმა) ბრინჯაო იკმარა 94 კგ წონის ათლეტთა შეჯიბრებაში.

# 26 ტური

სამგურალი 2:0 ლოკომოტივი
რუსთავი 3:0 ოდიში
მარგვეთი 1:0 თსუ
დილა 1:0 სიონი
დინამო 2:0 მაღაროელი

**დღეს**

მერანი - კოლხეთი

**გადაიდო**

ვიტ ჯიორჯია - გურია
ტორპედო - ბათუმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 25 | 21 | 2 | 2 | 71:12 | 60 |
| ბათუმი | 25 | 15 | 6 | 4 | 53:17 | 51 |
| კოლხეთი | 25 | 15 | 5 | 5 | 48:19 | 50 |
| ტორპედო | 25 | 13 | 8 | 4 | 40:20 | 47 |
| ოდიში | 25 | 13 | 4 | 8 | 35:39 | 43 |
| თსუ | 26 | 11 | 6 | 9 | 32:24 | 39 |
| ლოკომოტივი | 26 | 10 | 7 | 9 | 30:34 | 37 |
| დილა | 26 | 10 | 4 | 12 | 24:29 | 34 |
| მერანი | 25 | 10 | 7 | 8 | 32:30 | 32 |
| ვიტ ჯორჯია | 25 | 6 | 9 | 10 | 22:30 | 27 |
| რუსთავი | 25 | 8 | 3 | 14 | 25:37 | 27 |
| სამგურალი | 26 | 7 | 6 | 13 | 25:46 | 27 |
| სიონი | 26 | 8 | 6 | 12 | 36:37 | 25 |
| გურია | 25 | 4 | 8 | 13 | 24:48 | 20 |
| მაღაროელი | 25 | 4 | 5 | 16 | 20:53 | 17 |
| მარგვეთი | 26 | 2 | 6 | 18 | 17:62 | 12 |

**„დინამოს", „მერანს" და „სიონს" დაკლებული აქვთ ხუთ-ხუთი ქულა**

მატჩების რეპორტაჟები
იხილეთ მეორე-მესამე გვერდებზე

DAVIS CUP by NEC

# პორტუგალია 5 საქართველო 0

ქართველების პორტუგალიაში მშრალად დამარცხება ფეხბურთელებმა (თბილისის „დინამომ") დაიწყეს, მაგრამ მერე ფეხბურთელებმავე (ჩვენმა ჭაბუკთა ნაკრებმა) იყოჩაღეს, საქართველოს დევისის თასის გუნდმა კი „ძველი ტრადიცია" გაიხსენა: შაბათს ჩვენმა წყვილმა გივი სამხარაძისა და ვლადიმერ მარგალიტაძის შემადგენლობით პირველ სეტში კი გაიბრძოლა, მაგრამ საბოლოოდ ემანუელ კოუტოსა და ბერნადო მოტას დუეტთან 6:7 (3:7), 1:6, 3:6, წააგო, საერთო ანგარიში 0:3 გახდა და მატჩის ბედიც ნაადრევად გადაწყდა.

რაკილა კვირას გასამართი შეხვედრები აღარაფერს წყვეტდა, ჩოგბურთელებმა ორი ხელის მოგებამდე ითამაშეს, თუმცა ანგარიშის დასველება კი არა, სეტის მოგებაც კი ვერ მოვახერხეთ.

**ნუნო მარკეში — ვლადიმერ მარგალიტაძე 7:5, 6:3**
**ჟოაო კუნა ე სილვა — გივი სამხარაძე 6:0, 6:3**

დასაწყისი პირველ გვერდზე

### ეტყვიან და გააკეთებს

თავდადება-მონდომებაზე საქმე რომ მიდგება, თემურ ქეცბაიას ვერავინ დაასწრებს. შაბათსაც ასე იყო. თავი კბილებით გაჰქონდა. ერთი-ორჯერ კი ისეთი დაარტყა, ტუნისელებს სუნთქვასაც შეუკრავდა. თუმცა სრულიად უწყინარ სიტუაციაში ყვითელი ბარათი დაიმსახურა.

— თავი ველარ შევიკავე. მეტოქე უსამართლოდ მექცეოდა. რა უნდოდა, ვერ გავიგე. ერთხელაც ყელში ამომივიდა, მსაჯთან წავიკამათე, მან კი არც აცია, არც აცხელა, ყვითელი ამომიღო.

**— თავდასხმაში არველაძის გვერდით თავს როგორ გრძნობდი?**

— გამიჭირდაო, რომ გითხრა, არ ვიქნები მართალი. ჩემთვის სულ ერთია, სად მათამაშებენ. გუნდის ინტერესებისთვის ყველაფერს გავაკეთებ. რადგან გუცაევმა ჩემი თავდამსხმელობა გადაწყვიტა, ესე იგი საჭირო იყო.

**— შორიდან დარტყმებიც მწვრთნელმა დაგავალა?**

— არა, ასეთი არ უთქვამს. უბრალოდ, საშუალება მქონდა და ვურტყამდი. თუდად, კარში ვერ მოვარტყი.

**— მალტის ტურნირთან შედარებით, ნაკრების თამაშში შაბათს განსხვავება თუ შეამჩნიე?**

— ჩემი აზრით, მომატებული გვაქვს. დრო გავა და ყველაფერი დაიხვეწება. ჯერ რა, ხეირიანად ერთად არც კი გვივარჯიშია. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, მასპინძლებს მაინც ვაჯობეთ.

**— ჩვენგან ვის გამოყოფდი?**

— მეტ-ნაკლებად ყველამ ნორმალურად ითამაშა, მაგრამ გიოს გოლის მსგავსი იშვიათად თუ მინახავს.

### კაპიტანი ეს იქნება

გადაწყდა! ეროვნულ გუნდს ახალი კაპიტანი ჰყავს — გიორგი ნემსაძე. ტუნისელებთან იგი გაუძლვა თანაგუნდელებს, მაგრამ კაპიტნის დარად თამაშისა რა გითხრათ. აშკარა იყო, ნემსო დაღლილი ჩანდა, ჩვეულად ვერ მოძრაობდა. შაბათს მისი ნათამაშევის მალტურთან შედარებაც კი უხერხული იქნება.

— მე კი არა, მთელი გუნდი დაღლილად გამოიყურებოდა. განსაკუთრებით მეორე ტაიმში. რგოლებს შორის შეუთამაშებლობა იგრძნობოდა. ალბათ, ნაკრების შედარებით გაახალგაზრდავების ბრალია. ისე, ურიგო არ ითქმის, არც კარგად გვითამაშია, არც ცუდად.

**— ტრავმა ხომ არ გაწუხებს?**

— არა, არა, არაფერი, ფუი, ეშმაკს!

**— კაპიტნის რანგში თავს როგორ გრძნობდი?**

— პასუხისმგებლობა მომემატა. ეროვნული გუნდის კაპიტნობა, მგონი, ბევრს ნიშნავს.

**— შენი კაპიტნად დანიშვნის პროცესი გვაინტერესებს.**

— განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. ვოვა გუცაევმა შემადგენლობა დაასახელა, ბოლოს კი დაამატა, კაპიტანი ეს იქნებაო.

**— ესე იგი, ნემსო.**

— მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა.

### პასი სჯობდა?

ჩვენებმა მართლაც ბლომად მომენტები შექმნეს, მაგრამ განსაკუთრებით თვალშისაცემი და გულდასაწყვეტი ანგარიშის გათანაბრებიდან ორიოდ წუთში შეცვლაზე შემოსული ლევან ცქიტიშვილის მეკარესთან პირისპირ გაცუდებული შანსი გახლდათ.

— დარტყმა კი შემეძლო, მაგრამ პასი ვამჯობინე. მგონი, უფრო ასპროცენტიანი ეგ იყო. თან შოთამაც დამიძახა. მეც პასი მივეცი. სამწუხაროდ, მცველმა ჩაჭრა.

### დასანანიაო...

როცა შეცვლაზე ცქიტო შევიდა, ყველას ეგონა, კობიაშვილმა ტრავმა მიიღოო. რაც კობის აფრიკელებისგან მოხვდა, მტრისას. გასაკვირი კიდევ ისაა, ფეხზე როგორ დადგა.

— არა, არავითარი ტრავმა. ძალიან დაღლილი ვიყავი, წინა დღით გერმანიის ჩემპიონატში ორივე ტაიმი ვითამაშე და გადავიღალე. გუცაევმაც ამიტომ შემცვალა.

**— თითქმის მეორე ტაიმის ნახევარს გარედან უყურებდი. კარგად ვითამაშეთ?**

— რატომაც არა. სასურველისგან შორს კი ვართ, მაგრამ საგანგაშოც არაფერია. მწვრთნელმაც ეგ გვისაყვედურა, ერთი უბრალო შეცდომის გამო დასანანი გოლი რომ გავუშვით.

**კობა ინასარიძე**

---

თბილისი
ეროვნული
3 მაისი

**დინამო 2:0 მაღაროელი**

**დინამო:** ზოიძე, ლობჟანიძე, გუჩუა, ლ. ბურდული, ა. სახვაძე, კვარაცხელია, კიკნაძე (პეტრიაშვილი 75), ალექსიძე, აშვეთია, მუჯირი (ო. გველესიანი 75), ხომერიკი (ნიტაიშვილი 46)
**მაღაროელი:** ჯ. გველესიანი, კიპაროიძე, ოთბაშვილი, შ. ბიწაძე, შეყლაშვილი, ჩიკვილაძე, ტეფნაძე, ბუიშვილი, ბარამიძე (ვ. შეყილაძე 22), კავთელაძე, მწყერაშვილი
1:0 ბურდული (27), 2:0 ხომერიკი (41)
**მსაჯი:** მ. მალალურაძე (თბილისი)

**პაატა თოთაძე**

მატჩის დამთავრების შემდეგ ერთი ნაცნობი შემხვდა და მთხოვა, თუ ძმა ხარ, ნამეტან ცუდს ნუ დაწერ, რაი ქნან, მეტი არ შეუძლიათო. მართლაც, არ შეუძლიათ და რა ქნან. თავს ზემოთ ძალა არაა, მონდომება ნამდვილად არ აკლდათ ჭიათურელებს, მაგრამ თუ შენი საქმე კარგად არ იცი, მარტოოდენ მონდომებით შორს ვერ წახვალ. მთელი 90 წუთის განმავლობაში ცდილობდნენ „დინამოს" საჯარიმოში შეღწევას, მაგრამ ამაოდ. გუნდმა, რომელიც მოწინააღმდეგის მეკარეს მთელი შეხვედრის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მიუგორებს ბურთს, წარმატებაზე არც უნდა იოცნებოს. ისე კი ჭიათურელებისა მაინც მადლობელნი უნდა ვიყოთ. რომ არა მათი მონდომება და თავგამოდება, მატჩი სანახაობრივად მეტად უსახური იქნებოდა.

ანგარიშის გახსნის საშუალება მასპინძლებს მე-5 წუთზევე ჰქონდათ — აშვეთიამ ვერ ივარგა. მისი დარტყმული მცირედით ასცდა „მაღაროელის" კარს. სტუმრებმა თამაში კონტრშეტევაზე ააგეს, მაგრამ ხეირი ვერ ნახეს. როგორც კი დინამოელთა ნახევარზე გადადიოდნენ, მაშინვე კარგავდნენ ბურთს. პირველ ტაიმში თბილისელებმა ექვსი ნაღდი საგოლე მომენტი შექმნეს, რომელთაგან სამი გამოიყენეს. მასპინძლებმა მე-20 და 22-ე წუთებზე ორი კარგი შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. პირველად ბურთი ოდნავ ასცდა კარს, მეორედ უკვე სტუმართა მცველებმა ივაჟკაცეს. ხუთ წუთში აშვეთია გაისარჯა მშვენივრად მარცხენა ფრთაზე — სამი მცველი მოატყუა და მისი გადაცემის შემდეგ ბურდულმა უძლიერესი დარტყმით ბურთს სტუმართა კარის მარცხენა ცხრიანში ამოაყოფინა თავი. 32-ე წუთზე მიხომ მცველთა შეცდომა ვერ გამოიყენა. მას გუშინ ნამდვილად არ უმართლებდა — ვერაფრით დაუმიზნა კარს, ტაიმის მიწურულს კი როგორც იქნა, გაიტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა. გავიდა ცხრა წუთი და ხომერიკმა სოლო რეიდი მეორე გოლით დააგვირგვინა.

მეორე ტაიმში ერთი საინტერესო ფაქტიც მოხდა. დაახლოებით სამი წუთის განმავლობაში სტუმრებმა საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს დინამოელები, მაგრამ ამას შედეგი მაინც არ მოჰყოლია — კარში დარტყმა ვერ მოახერხეს. მეორე ტაიმში სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ მეკარესთან პირისპირ გასულმა წიტაიშვილმა ვერ გაიტანა.

# არ შეუძლიათ და...



მაღაროელი შალვა ბიწაძე დავით მუჯირისთვის ხელის შეშლას ლამობს

---

გორი
ცენტრალური
3 მაისი

**დილა 1:0 სიონი**

**დილა:** გრ. ჭანტურია, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, თარხნიშვილი, რევაზიშვილი, გ. ჩიტაია, შატაკიშვილი (მ. მინდიაშვილი 82), ხ. გაგნიძე (ციცქიშვილი 46), ხორგუაშვილი, კაიდარაშვილი
**სიონი:** დალაქიშვილი, გ. ჩომახიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, კ. ნიკლაური, მ. სამხარაძე, გოგოლაძე, ტარტარაშვილი, ტყავაძე, ჯაგიდისი, ლ. გაგუა
1:0 ხორგუაშვილი (82პ)
**გაფრთხილება:** სამხარაძე, ტყავაძე
**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**მამუკა კვანტალიანი** გორიდან

# მსაჯს ვინ კითხავს?

ფეხბურთის ფედერაციას ჩემპიონატის დებულება სეიფებში ჩასაკეტად და თაროზე შემოსადებად არ გამოუშვია. შეიძლება მავანს მისი წაკითხვა დაეზაროს, მაგრამ ზრდილობის გულისთვის თვალი მაინც ხომ უნდა გადაავლოო. ბევრისთვის დებულება უცხო ხილი გახლავთ და ზოგიერთს მაშინ გაახსენდება, როცა სადაო საკითხი დადგება. სხვას რას მივაწეროთ გუშინდელი ფაქტები. კანონით თამაშები 6 საათზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ეს მხოლოდ უმცირესობამ თუ უწყოდა. ეროვნულ სტადიონთან გაკრულ აფიშებზე მატჩის დაწყების დროდ 5 საათი მიეწერათ, თამაში კი ექვსზე დაიწყო. სხვაგანაც ამ დროს ჩაბერეს არბიტრებმა თავიანთ სასტვენებს. გამონაკლისი მხოლოდ გორი გამოდგა. იქ დოგრაშვილს მატჩი 5 საათზე დაუწყია, ამიტომ თბილისიდან ჩასულებს ოცი წუთი შეგვაგვიანდა და თამაშის იმ მონაკვეთზეც ვერაფერს მოგითხრობთ.

თავად ბოლნისელებმაც აღიარეს, ჩვენც 6 საათზე გვეგონა თამაში, შედარებით ადრიანად შემთხვევით ჩამოვედითო. თუ ბოლნისელმა ფეხბურთელებმა დებულების ავან-ჩავანი კარგად უწყიან, რატომ ემლებათ ფედერაციის დელეგატსა და მსაჯებს ის, რაც ზეპირად უნდა იცოდნენ?

არადა, პარასკევს ფეხბურთის ფედერაციაში მისულ ჟურნალისტებს ოფიციალურად გამოგვიცხადეს, ხომ იცით, მაისში თამაშები 6 საათზე დაიწყებაო. კიდევ ერთი ლაფსუსი, რომელიც აკნინებს ფედერაციის მუშაობას და კაცს გაკვირვებით ათქმევინებს — ნეტავ, ვინ არის დამნაშავე?

პირველი ნახევრის დარჩენილმა 25 წუთმა, რომელსაც მივუსწარით, მასპინძელთა უპირატესობით ჩაიარა. სტუმრები საკუთარ საჯარიმოსთან გამაგრებულიყვნენ და გორელთა შეტევების ჩაშლის გარდა არა უკეთებიათ. აშკარად ჩანდა, ბოლნისელებს ქულის წაღება განეზრახათ და ჭანტურიას შეწუხება ფიქრადაც არ მოსვლიათ. ამას როგორღაც ახერხებდნენ კიდეც, თუ რევაზიშვილის გარღვევას და ხორგუაშვილის სახიფათო თაურს არ ჩავთვლით. სტუმართა ერთადერთი სახიფათო მომენტი თავად მასპინძლებმა მოიგონეს. ჭანტურიამ მცველთა მიერ უკან დაგორებულ ბურთს საკადრისად ვერ ამოსცხო და ოციოდ მეტრში სამხარაძეს გადაუგდო. ნახევარმცველის დარტყმული კარს ასცდა.

მეორეში სურათი არ შეცვლილა. „დილა" „სიონის" საჯარიმოში ჩასახლდა, მაგრამ ხან დალაქიშვილი იდგა კლდესავით, ხანაც შაკიაშვილი და ყიფშიძე შველოდნენ მეკარეს.

თითქოს თამაშიც ყაიმით უნდა მორჩენილიყო, მაგრამ მატჩის მიწურულს ჩომახიძე წამოეგო ფანდს. ბალაშვილს ფეხებში მაშინ ჩაუვარდა, როცა გორელმა ბურთის წინ გაგდება მოასწრო. დოგრაშვილმა პენალტი დანიშნა და უსიამოვნებაც მაშინ დაიწყო. ჯაგიდისი მსაჯს ქეჩოში სწვდა, გადაწყვეტილებას უწუნებდა. სხვებს გინება არ დაუკლიათ. მსაჯმა ჯონი გამოიხმო, თითქოს წითელი ბარათის ჩვენებას უპირებდა, მაგრამ მერე სტუმარ-მასპინძელთა ხვეწნა-მუდარამ გაჭრა. საერთოდ დოგრაშვილს თამაშის სადავეები ხელიდან გაექცა, ფეხბურთელთა კონტროლი გაუძნელდა და ამიტომაც არაერთი შემამკობელი სიტყვის მოთმენა უწევდა.

როგორც იქნა, ბურთი პენალტის ნიშნულზე დაიდო, ხოლო ხორგუაშვილმა მეკარე მოატყუა და ანგარიშიც გაიხსნა.

„სიონი" მაშინ მიხვდა, მატჩს რომ აგებდა და შინ ხელცარიელი მოუწევდა გაბრუნება. მოინდომეს, მაგრამ ვერას გახდნენ. დოგრაშვილს საფინალო სასტვენი ხეირიანად არ ჰქონდა მიცემული, რომ მინდორზე სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ბოლნისელი შეუვარდა სათადარიგოთა სკამიდან. იყო გინება, გაწევ-გამოწევა. საქმეში პოლიციაც ჩაერია და მსაჯის შემშინებელს დაპატიმრებაც დაუპირეს, მაგრამ სტუმარი მასპინძელთა გუნდის ხელმძღვანელებმა გამოიხსნეს და გასახდელში შეიყვანეს. ვნებათაღელვაც მალევე ჩაცხრა.

---

რუსთავი
„ფოლადი"
3 მაისი

**რუსთავი 3:0 ოდიში**

**რუსთავი:** მ. ქორიძე, მენთეშაშვილი, პატარიძე, სილაგაძე, მ. სახვაძე, ცომაია, ზირაქაძე, ზ. ლაბაძე (მელაძე 46), ჩუხუა (გ. ყიფიანი 74), ბ. შენგელია (ბოკერია 54), კ. ალადაშვილი
**ოდიში:** გაბელია, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ჯაბუა, ტყემალაძე, ბარქაია, ჩადუნელი (ჯურხაძე 85), ენდელაძე, ჭედია (გლუნჩაძე 65), ისიანი (თოლორაია 85), კალანდაძე
1:0 მელაძე (62), 2:0 პატარიძე (71), 3:0 მელაძე (87)
**გაფრთხილება:** ბარქაია, პატარიძე
**მსაჯი:** თ. მაჭარაძე (ხონი)

**გიორგი ვაშაკიძე** რუსთავიდან

# შეცვლებმა გაუმართლეს

წინა ტურში ლანჩხუთში ნათამაშევი ფრეს შემდეგ გადადგა „რუსთავის" მთავარი მწვრთნელი გაიოზ დარსაძე, გუშინ კი „ოდიშის" წინააღმდეგ გუნდს იასონ ალადაშვილმა უთავკაცა. ცხრილის ქვედა ნაწილში მოხეტიალე „რუსთავს" ჰაერივით სჭირდებოდა სამი ქულა. გუნდებმა ურთიერთდაზვერვით დაიწყეს. მასპინძლებმა პირველ ნახევარში, სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, აშკარად ვერააწყვეს თამაში. პირველი ოცი წუთის მანძილზე არც ერთი გუნდის ფეხბურთელს კარში არ დაურტყამს. მოთამაშეები აშკარად სცოდავდნენ, ხშირი იყო უზუსტო გადაცემები, ტექნიკური წუნი. ყოვლად უსახური თამაში ტაიმის ბოლოს თითქოსდა გამოცოცხლდა, როცა ჩადუნელი მასპინძელთა საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ მისი დარტყმული ქორიძემ მშვიდად აიღო. მე-40 წუთზე ჩუხუამ დაჰკრა 25 მეტრიდან. გაბელიამ ბრწყინვალე რეაქცია გამოავლინა, ცალი ხელით მოიგერია სახიფათოდ დარტყმული.

„რუსთავმა" ორი აშკარად განსხვავებული ტაიმი ითამაშა. მეორე ნახევარი ფაქტობრივად ცალკარას დაემსგავსა. მასპინძლები ზედიზედ უტევდნენ სტუმართა კარს. ალადაშვილს შეცვლაზე შესულმა სამივე ფეხბურთელმა გაუმართლა. ისინი კარგად მოერგნენ მასპინძელთა სათამაშო სქემას და სახიფათო შტურმიც მოაწყეს. მეორე ნახევარი ძალიან აქტიურად ჩაატარა ზირაქაძემ. მან გაილაღა მარჯვენა ფლანგზე და ფლანგური გარღვევებით დიდი საზრუნავი გაუჩინა სტუმართა დაცვას.

52-ე წუთზე ჩუხუამ მშვენიერი დრიბლინგით ჩამოიტოვა რამდენიმე მოწინააღმდეგე, საჯარიმოშიც შევიდა, მაგრამ დარტყმისას ძალა არ ეყო და ოდიშელებმა მდგომარეობა განმუხტეს. „რუსთავი" სტუმართა ნახევარზე დასახლდა. აშკარა იყო, რომ გოლი მწიფდებოდა. 62-ე წუთზე ანგარიშიც გაიხსნა. მარჯვენა ფლანგზე აქტიურმა ზირაქაძემ მეკარის ბაქანში ჩაჰკიდა, აქ კი გაბელია შეცდა და შეცვლაზე შესულმა მელაძემ თავით ჩინებული გოლი გაუტანა სტუმრებს. მალე მასპინძლებმა მეორედაც იხეირეს. 71-ე წუთზე მათი კომბინაცია პირველის ანალოგიური იყო. ამჯერად უკვე იგივე ზირაქაძის ჯარიმიდან ჩაკიდულს პატარიძე გამოეხმაურა და მანაც მშვენიერი თაურით გაუტანა გაბელიას. წუთის შემდეგ ისევ ზირაქაძის ფლანგიდან ჩაწოდებულს ალადაშვილი ვერ მისწვდა. მასპინძლები ამის შემდეგ თითქოსდა დამშვიდდნენ. მელაძის სახიფათო დარტყმისას ერთხელ ძელმაც გადაარჩინა სტუმართა კარი.

მატჩის დასრულებამდე სამი წუთიღა რჩებოდა, მელაძემ 25 მეტრიდან ყუმბარასებური დარტყმით ცხრიანში ულამაზესი გოლი რომ გაუტანა ოდიშართ.



რუსთაველ მამუკა მელაძეს გიორგი გაბელიას კარში თავით გააქვს

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ
„26 მაისი"
3 მაისი

**ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ 2:0 ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ**

**ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ:** სტურუა, ჭელიძე, გ. თევზაძე (კ. ჯანაშია 73), კოლუაშვილი, გ. ჯანელიძე (ფრანგიშვილი 71), ძაგნიძე, მოსიკაშვილი, ვაშაკიძე, დარსაძე, ხურცილავა (ზ. ქუთათელაძე 67), თევდორაძე
**ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ:** ვოლკოვი, ამბიძე, ერაძე, ბაქრაძე, კაკუბავა (ახალაძე 53), ქვარცხავა, გ. კვეტენაძე (ხუციშვილი 62), ქველაძე, კოტორაშვილი, დათვაძე, ზამთარაძე (გოდერძიშვილი 46)
1:0 თევდორაძე (23), 2:0 ძაგნიძე (33)
**ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ:** ჯანელიძე, დოლაბერიძე, ჭელიძე
**ᲛᲡᲐᲯᲘ:** ს. კახიანი (თბილისი)

ᲘᲣᲖᲐ ᲙᲐᲪᲘᲢᲐᲫᲔ წყალტუბოდან

# ᲐᲚᲐᲚᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲘᲒᲔᲑ...

შემჩნეული გექნებათ, მეორე წრეში „ლოკომოტივი" გასლაზე უკეთ თამაშობს, ვიდრე შინ. გუნდმა ზუგდიდში, ლანჩხუთში, ბოლნისში იმარჯვა. ამ ქალაქებში კი, დამეთანხმებით, ცოტა ვინმე თუ ხეირობს. რკინიგზელები, ალბათ, წყალტუბოშიც მოსაგებად ჩამოვიდნენ. აბა რა იცოდნენ „სამგურალისგან" თუ ასეთ წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ. ეტყობა, წყალტუბოელებმა ამდენი ქილიკი კი ვეღარ აიტანეს და გუშინ ლაზათიანად იბურთავეს. მასპინძლებმა მართალაც დიდი მონდომებით ითამაშეს და სამი ქულაც ალალად მოიპოვეს.

თავიდან თითქოს თბილისელებმა შეუტიეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. წყალტუბოელთა საჯარიმოსთან გაუვალი შლაგბაუმი რომ დახვდათ, ცოტა არ იყოს დაიბნენ. მასპინძლებსაც ეს უნდოდათ. თამაში საკუთარ გემოზე ააწყვეს. ასეთი თავგანწირვა, ამდენი გონივრული კომბინაცია წყალტუბოელთაგან გასაკვირიც კი იყო. მასპინძელთაგან ყველა კარგად ირჯებოდა, მაგრამ გელა ძაგნიძე მაინც გამოირჩეოდა. პრაქტიკულად ყველა იერიში მის კისერზე გადადიოდა. პირველ ტაიმის შუაწელში მან მოედნის ცენტრიდან ზუსტი, გრძელი პასი მისცა ხურცილავას, ამან თავურით თევდორაძეს გაუჭრა საჯარიმოში. თევდორაძემ ცრუ მოძრაობით მცველი ჩამოიტოვა და მერე ცაციათი მორგებულად დაჰკრა. ვოლკოვმა ბადეში მიმავალ ბურთს თვალიღა გააყოლა. ათი წუთის შემდეგ ძაგნიძემ სოლო რეიდი შეასრულა. ოთხ (!) რკინიგზელს დაუსხლტა და საჯარიმოში შესულმა მეკარეს მარცხენა ცხრიანში დაურტყა. ვოლკოვი არც ამის ამღები იყო. „სამგურალმა" ორბურთიანი ფორა მიიღო, მაგრამ თამაშის ტაქტიკა არ შეუცვლია. ტაიმის ბოლომდე ისევ მასპინძლები უტევდნენ.

ისინი არც თამაშის განახლების შემდეგ ჩამჯდარან დაცვაში. ეს კი არა, 47-ე წუთზე ანგარიშის გასამებაც შეეძლოთ. დარსაძემ მარცხნიდან კარგად ჩააწოდა მოსიკაშვილს, მაგრამ ამას ბურთზე ფეხი აუცდა, სტუმრები თამაშში გარდატეხის შეტანას ცდილობდნენ, შეცვლებიც შესაბამისი გააკეთეს. 57-ე წუთზე „სამგურალის" კართან რეალური საფრთხე შეიქმნა, მაგრამ კვეტენაძის საჯარიმოდან დარტყმული ხარიხას მოხვდა. ორ წუთში უკვე „ლოკომოტივი" გადაურჩა გოლს. თევდორაძემ ძაგნიძისგან მოწოდებული ვერ გამოიყენა, არადა, კარგ პოზიციაში იმყოფებოდა. ცოტაც და სტურუამ იმარჯვა, გოდერძიშვილს ზედ ფეხზე ააცალა ბურთი. 70-ე წუთზე წყალტუბოელთა მეკარემ ამბიძეს აუღო ძლიერად დარტყმული. მასპინძლებს არც ბოლო წუთებში დაუხევიათ უკან, რკინიგზელებს იერიშით იერიშებით პასუხობდნენ. 82-ე წუთზე ძაგნიძემ ერთიც გაინავარდა „ლოკომოტივის" საჯარიმოში, ყველაფერი მაღალოსტატურად შესრულა, დარტყმაც მოასწრო, მაგრამ ხარიხას ოდნავ ააცილა. თბილისელთა ყველა ცდაც ამაო გამოდგა, მათ ერთის გატანაც ვერ შეძლეს.

ამ გამარჯვებით „სამგურალმა" საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. მე-14 ადგილზე მყოფ „გურიას" მთელი 7 ქულით ჩამოსცილდა. გურულები კი ამ ტურის მატჩს „ვიტ ჯორჯიასთან" ტოვებენ თითქოსდა მოწამლულობის გამო, მაგრამ ჩვენ სხვა ვერსიაც მოვისმინეთ. გურულებს უთქვამთ, „ვიტ ჯორჯიასთან" მანამდე არ ვითამაშებთ, სანამ ადრე გადადებული „მარგველი" — „რუსთავი" არ ჩატარდებაო.

და ერთიც, „ლოკომოტივის" სათადარიგო მეკარემ დოლაბერიძემ ყვითელი ბარათი მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტებისთვის მიიღო.

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ
ცენტრალური
3 მაისი

**ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲗᲘ 1:0 ᲗᲡᲣ**

**ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲗᲘ:** ნიქაბერიძე, გოგაძე, გურიელიძე, ჟვანია, კაკაბაძე, კაციაშვილი, სულაკაძე (ბოგვერაძე 88), თ. გაბრიჭიძე, მაღალურაძე (ქურციკიძე 75), მაღრაძე, შავგულიძე
**ᲗᲡᲣ:** ბათიაშვილი, ყოლბაია, ცხადაძე (დევიძე 74), კობიაშვილი, ლ. მელქაძე, შალამბერიძე, გეჯეზაშვილი, გიორგი ქორიძე (ბახტაძე 46), მაზიაშვილი, კ. მელქაძე, როსტიაშვილი
**ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ:** შალამბერიძე
1:0 გაბრიჭიძე (11)
**ᲛᲡᲐᲯᲘ:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

# ᲐᲛ ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲣᲢᲐᲜ?

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ ზესტაფონიდან

უნივერსიტეტელები გვარიანად გახურებულნი იყვნენ, როცა მასპინძელი გუნდი მოთელვაზე გამოვიდა, კარისკენ მიმავალ მერკვილიშვილს ქორიძემ ერთი კი გახედა და წამოიძახა, ამ მეკარეს გოლი როგორ ვერ უნდა გავუტანოო. ძნელი სათქმელია, გაუტანდა თუ არა ქორიძე რაჟდენს, მაგრამ მოთელვისას დაშავებულ მარგველთა გოლკიპერის შემცვლელ ნიქაბერიძეს, რომ მთელმა თსუ-მ ვერაფერი დააკლო, უდავოა.

წინა სეზონის ბოლო ტურში ჯგუფიდან გავარდნას სასწაულებრივ გადარჩენილ სტუდენტთა გუნდში ამ სეზონის წინ ბევრი ცვლილებები მოხდა, მწვრთნელიც ახალი და ბევრის მნახველი დაუნიშნეს და შემადგენლობაც გვარიანად გადახალისდა. ჩემპიონატიც რიხით დაიწყეს და ამბიციებიც დიდი ჰქონდათ (რაღა თქმა უნდა, არა საფუძველსმოკლებული), მაგრამ ჩემპიონატში რომ ვერას გახდნენ, თასს შეუტიეს ჯიქურ, იქაც ხელი მოეცარათ და, ფაქტობრივად, ამით დაამთავრეს.

სტუდენტები ჩემპიონატში გასწრებით, ალბათ, მხოლოდ ოდიშარებს თუ გაუსწრებენ, ქვემოთ კი ისე არ დაეშვებიან, შარშანდელი კოშმარი გაუმეორდეთ. მათ გუშინდელ მეტოქეს კი კარგა ხანია, ხელი ჩაქნეული აქვს, მაგრამ ყოველგვარ მორალურ თუ ფსიქოლოგიურ ტვირთმოცილებულნი ადვილად არავის ნებდებიან. მეტოქენიც სათანადოდ არ აფასებენ უიმედო აუტსაიდერებს და თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ისჯებიან (გავიხსენოთ თუნდაც ზუგდიდური ფრე). რაღაც ამდაგვარი მოხდა სტუდენტთა თავსაც.

ერთი შეხედვით, სტუმრებმა თამაში მედგრად კი დაიწყეს, მაგრამ მარგველებმა მათ არაფერი დაუთმეს და უკვე დასაწყისშივე კაციაშვილმა პირველმა შექმნა საფრთხე თბილისელთა კართან. მე-11 წუთზე მარცხენა ფრთაზე, სტუმართა საჯარიმოსთან ახლოს, მაღრაძის წაქცევისათვის ჯარიმა დაინიშნა, შავგულიძემ საჯარიმოში კარის გასწვრივ ჩაჰკიდა, ბათიაშვილმა გამოსვლა დააგვიანა, მცველებს კი ზესტაფონელმა გაბრიჭიძემ დაასწრო და ჭვანტით ბურთი კარში გაგზავნა.

თბილისელებს საკმაო დრო დასჭირდათ თამაშის გასათანაბრებლად, უპირატესობას კი მხოლოდ ტაიმის მიწურულს მიაღწიეს. შალამბერიძემ შორი მანძილიდან ყუმბარისებურად დაურტყა ნიქაბერიძეს, მაგრამ ზესტაფონელთა კარის დარაჯი ადგილზე დაუხვდა ბურთს. ნიქაბერიძემ მატჩის ეს მონაკვეთი, ისევე როგორც მთელი მატჩი, ბრწყინვალედ ჩაატარა. მან შემდეგშიც არაერთხელ იხსნა საკუთარი კარი აშკარა საფრთხისგან.

ნიქაბერიძეს განსაკუთრებით მატჩის მიწურულს გაუჭირდა, როცა მარგველნი ოდნავ დაიღალნენ, მაგრამ მაინც თავგამოდებით ირჯებოდნენ და მეტოქეს გვარიანად უშლიდნენ ხელს საწადელის მიღწევაში.

მატჩის ბოლო 15 წუთი სტუმრებისგან მასპინძელთა კარის მასირებულ შტურმში მიილია, ორჯერ მაზიაშვილმა შორიდან მოსინჯა ძალა, ერთხელაც ლევან მელქაძემ თავით დაარტყა ახლო მანძილიდან, მაგრამ ნიქაბერიძეს ვერაფერი მოუხერხეს. შეცვლაზე შესული დევიძის ახლო მანძილიდან დარტყმული კი ძელს მოხვდა და „მარგვეთმა" მეორე წრეში პირველი, ალალი, ვაჟკაცური ბრძოლით, თუ შეიძლება ითქვას, სენსაციური გამარჯვება მოიპოვა.

# ᲫᲘᲠᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ, ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ!

დრო დაგვიდგა, კითხვას და მოსმენას გადავეჩვიეთ ლამის, თორემ ასეთ მატჩს რეკლამა არც უნდა სჭირდებოდეს. შაბათს ჩვენც გაუწყეთ ქუთაისში დაგეგმილი ისტორიული თამაშის შესახებ. 1962 წლის 2 მაისი ქუთაისის „ტორპედოს" სსრ კავშირის ჩემპიონატის „ა" კლასში საბრძოლო ნათლობის დღე იყო. გამაშების სტარტზე ჩვენებს უმკაცრესი გამომცდელი დაუხვდათ — მოსკოვის „ტორპედო". 40-ათასამდე მაყურებელმა მაშინ უდიდესი სიამოვნება განიცადა. ერთ რამედ ღირდა ეს თამაში, ანგარიშს ხომ ნუ იტყვით! — 4:2 მოვიგეთ...

და აი, ქუთაისელ ენთუზიასტთა თაოსნობით ისტორია განმეორდა. 36 წლის შემდეგ, 1998 წლის 2 მაისს ისევ დადგა ერთმანეთის პირისპირ ორი „ტორპედო", თუმცა ამჯერად ვეტერანებისა. მანამდე დილიდან იყო კულტურული პროგრამა. მოსკოველებმა ცოტა ქალაქის ქუჩებში გაისეირნეს, დაათვალიერეს გელათი, მოწამეთა, სპორტული მუზეუმი, ქუთაისის მერსაც ესტუმრნენ. საღამოს ექვსის ნახევარზე კი თამაშიც გაჩაღდა.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ
„გივი კილაძე"
2 მაისი
5000 მაყურებელი

**ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ 1:2 ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ**
*ქუთაისი — მოსკოვი*

**ქუთაისი:** მიხეილ კვერნაძე, იუზა ლოსაბერიძე, გიორგი აბზიანიძე, ავთანდილ ნველავა, ნოდარ სარჯველაძე, შოთა ოქროპირაშვილი, გივი ლეჟავა, მიხეილ მიროშნიკოვი, ჯემალ ხერხაძე, ჯუმბერ ხაჟალია, ზაალ ბულია (მერაბ ჩახუნაშვილი, თემურ კოხრეიძე, როლანდ ფეტვენიძე, მურად ქუთათელაძე, სოსო ფრუიძე, გივი მუკმანიანი, გურამ ფილიპაშვილი, ალექსანდრე კვერნაძე). არ უთამაშიათ გურამ მერაბიშვილს, გურამ ცხოვრებოვს, გივი მუმლაძეს.
**ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲘ:** გარი სორდია, გურამ ნოშნიანიძე, მურად ნიჟნივაძე
**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ:** მიხაილ სკოკოვი, გენადი სალოვი, ვლადიმირ დერიაბინი, ვალენტინ დენისოვი, გრიგორი იანეცი, ვიქტორ შუსტიკოვი, ვლადიმირ სუჩილინი, სერგეი გრაჩოვი, ბორის ბატანოვი, დავიდ პაისი, ნიკოლაი აფანასიევი (ვიქტორ ზაიდინოვი, ვლადიმირ ნეპომილუევი, იური ფალინი, მიხეილ ვორონინი)
**ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ:** იური ზოლოტოვი
**ᲒᲝᲚᲔᲑᲘ:** სუჩილინი, გრაჩოვი, ხერხაძე
**ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ:** ზურაბ თოდაძე, ამირან აფრიდონიძე, მიხეილ მაღლაფერიძე (სამივე ქუთაისი)

მატჩი ახალი დაწყებული იყო, რომ წუთიერად შეწყდა. აუდიტორიამ პატივი მიაგო იმ პირველი მატჩის გარდაცვლილ მოთამაშეთა, მსაჯთა და მაყურებელთა ხსოვნას.

მოსკოველმა ვეტერანებმა ჩვენებს „ფიზიკაში" აჯობეს. სტუმრები ნავარჯიშევი ჩანდნენ და ერთმანეთსაც იოლად უგებდნენ. პირველი ბურთი სუჩილინმა გაგვიტანა საჯარიმოდან. გრაჩოვმა კი გააორა. ოთხი მოატყუა და მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი. მასპინძლებიც გულიანად ირჯებოდნენ და რამდენიმეჯერ მძლავრადაც შეუტიეს. ხაჟალიამ გატანის ასპროცენტიანი შანსი გაუშვა ხელიდან, ახლოდან ააცილა. მარცხენა ფრთაზე მოსკოველებს ბულია აპამპულავებდა, ხერხაძემ ხომ მთლად აიკლო მათი დაცვა. მეორე ტაიმში მასპინძლებმა შემადგენლობა გააახალგაზრდავეს, მაგრამ თამაშის გადარჩენა მაინც ვერ მოახერხეს. უამრავი საგოლე მომენტიდან მხოლოდ ერთი გამოიყენეს: ხერხაძემ ფილიპაშვილისგან მიღებული ცხრიანში დაურტყა სკოკოვს.

მოკლედ, მოსკოველმა ვეტერანებმა იმარჯვეს. მათ კაპიტანს ვიქტორ შუსტიკოვს ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილი მწვრთნელის უშანგი სალდაძის სახელობის პრიზი — ბროლის ბურთი გადაეცა, როგორც მატჩის საუკეთესო მოთამაშეს. მაყურებელმა ოვაციებით გააცილა ორივე გუნდი. თამაშს საქართველოში რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფელიქს სტანევსკი და სხვა საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვეტერანებს გავესაუბრეთ:

***ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘ ᲘᲐᲜᲔᲪᲘ (მოსკოვის „ტორპედოს" ვეტერანთა კლუბის პრეზიდენტი):*** ამ ხნის კაცი ვარ, რა არ გადამხდენია თავს, ავიც და კარგიც, მინდორზეც და მის გარეთაც, მაგრამ ასე არაფერს ავუღელვებივარ. უდიდეს მადლობას ვწირავ ყველას, ვინც ეს შეხვედრა ჩაიფიქრა და განახორციელა. აქეთ წამოსვლისას ცოტა ვშიშობდი, არ ვიცოდით, ხალხი როგორ შეგვხვდებოდა. თურმე რას ეჭვობ... ათასობით კაცი გულთბილად მოგვესალმა. ოჰ, ეს პოლიტიკა: როდის მივა ფეხბურთთან... საქართველოში ჩამოსვლა ძალიან ბევრს უნდოდა, მაგრამ 16-ს გაგვიმართლა. ამ შეხვედრას არასოდეს დავივიწყებ. თამაშს რაც შეეხება, გული არ დაგწყდეთ. 36 წლის წინ თქვენ უფრო მნიშვნელოვანი მატჩი მოგვიგეთ. შეთამაშებული გუნდი გვყავს, რვა წელიწადია, ერთად ვვარჯიშობთ. თქვენებსაც მუცლები უშლით ხელს, თორემ თამაში არ დავიწყებიათ. ხერხაძე და ბულია, მგონი, ახლა უკეთესად გამოიყურებიან.



ᲛᲣᲠᲘᲡ ᲮᲕᲐᲓᲐᲒᲘᲐᲜᲘᲡ ფოტო

ჯემალ ხერხაძემ მოსკოველებს კი გაუტანა...

***ᲑᲝᲠᲘᲡ ᲑᲐᲢᲐᲜᲝᲕᲘ (თამაშობდა სსრ კავშირის ნაკრებში):*** მეტად სასიამოვნოა, ასე შორს რომ ვიღაცას ახსოვხარ. თუმცა, რაღა შორეულია, ბრჭყალებში ჩასვით ეს სიტყვა. ყოველთვის მხიბლავდნენ ქართველები, სტუმართმოყვარე და სამართლიანი ხალხია. თუ შნო გაქვს, ემეგობრე. არ ვიცი, ვის რაში



ᲛᲣᲠᲘᲡ ᲮᲕᲐᲓᲐᲒᲘᲐᲜᲘᲡ ფოტო

ვიქტორ შუსტიკოვი ბროლის ბურთით ხელში

არგია ჩვენს ქვეყნებს შორის ჩამოვარდნილი უნდობლობა. ვფიქრობ, იგი ხელოვნურადაა შექმნილი. რუსებს და ქართველებს ახლა ერთნაირად გვიჭირს. ძალიან ახლოს ვიყავი სლავა მეტრეველთან, მიხეილ მესხთან, გივი ჩოხელთან. უდიდესი ფეხბურთელები და ნამდვილი რაინდები გამოგვაკლდნენ. სამარადისო ხსოვნა მათ. 1962 წელს ქუთაისში არ მითამაშია, ნაკრებში ვიყავი გამოძახებული ვორონინთან, ივანოვთან, მეტრეველთან, ოსტროვსკისთან და გუსაროვთან ერთად, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. ქუთაისის „ტორპედო" ლაღი, ტექნიკური გუნდი იყო. ჩვენთან ყოველთვის დიდი გული ჰქონდა. ურუშაძე, კუტივაძე, ხაჟალია კარგი ოსტატები იყვნენ. დღევანდელ რუსულ და ქართულ ფეხბურთზე რა უნდა ვთქვა. სწორად გამიგეთ, მე შერწყმულს ვარჩევდი. ქართველების თამაშს იშვიათად ვუყურებ, მაგრამ მინდა გამარჯვებები ვუსურვო.

ვიქტორ შუსტიკოვი („ტორპედოს" კაპიტანი, კაცი-ლეგენდა, საკავშირო ჩემპიონატებში 427 მატჩი ჩაატარა, აქედან ზედიზედ 253 შეუცვლელად. თამაშობდა სსრ კავშირის ნაკრებში): ბედნიერი ვარ, არ მეგონა, თუ საქართველოში ჩამოსვლა კიდევ მომიწევდა. ხაჟალია იმ წამსვე ვიცანი. რა დამავიწყებს, სისხლი გამიშრო მოედანზე. ლოსაბერიძე, ბულია, ხერხაძე, ოქროპირაშვილი... ესენიც უმალ გავიხსენე. გავჭაღარავდით, მაგრამ რას იზამ, ქუთაისში ახლაც დიდი სითბო ვიგრძენი, ისეთი, ჩვენთან რომ იშვიათია. ჩემს კოლექციაში ბევრი ჯილდოა, მაგრამ ამ ბროლის ბურთს უკვე ვერც ერთს შევადარებ. ღმერთმა დალოცოს ქართველები და ქართული ფეხბურთი.

მიხეილ მიროშნიკოვი („ტორპედო" ქუთაისი): ჩრდილო ოსეთში ბესლანში დავიბადე, მაგრამ ბავშვობა და სიყმაწვილე თბილისში გავატარე. ფეხბურთის თამაშიც „ნორჩ დინამოელში" გრიგოლ გაგუამ მასწავლა. რომ დავკაცდი, „ლოკომოტივში" ჩამრიცხეს. მერე ვახტანგ რამიშვილმა მე და გივი მუმლაძე „ტორპედოში" გადაგვიყვანა. აქ სამი წელიწადი ვითამაშე. სხვათა შორის, მოსკოვის „ტორპედოს" იმ პირველ მატჩში მეოთხე ბურთი მე გავუტანე. ტკბილადმოსაგონარი ხანაა. წარმოიდგინეთ, 33 წელიწადია, რაც ქუთაისში არ ვყოფილვარ, რა ხანია, მოსკოვში ვცხოვრობ. ამ შეხვედრაზე ძვირფასი საჩუქარი რა უნდა იყოს. ცრემლი მერევა. ოთხი შვილიშვილის ბაბუა ვარ.

ჯუმბერ ხაჟალია: ბევრი ვიფიქრე, გავსულიყავი თუ არა სათამაშოდ, მაგრამ შუსტიკოვი, დენისოვი, ბატანოვი, აგერ ჩვენებიც ერთად რომ დავინახე, გულმა არ მომითმინა. ხერხაძემ ზუსტი პასი მომცა, მაგრამ ავაცილე. რომ გამეტანა, 2:2 ხომ იქნებოდა... ორი ტაიმი წავაგეთ, მაგრამ სად გაიქცევიან, მესამეში ავიღებთ რევანშს, თუმცა, მგონი, ესენი სუფრაზეც მაგრები არიან. ვხუმრობ. საქმე მართლა დიდი გაკეთდა. ლამაზი შეხვედრა იყო...

ᲘᲣᲖᲐ ᲙᲐᲪᲘᲢᲐᲫᲔ



ᲛᲣᲠᲘᲡ ᲮᲕᲐᲓᲐᲒᲘᲐᲜᲘᲡ ფოტო

ქუთაისი. „გივი კილაძე". 2 მაისი. თითქმის ისე, როგორც 36 წლის წინ — ორი „ტორპედო", ქუთაისისა და მოსკოვის

## ინგლისი

XXXVII ტური

**ლივერპული 5:0 ვესტ ჰემი**
1:0 ოუენი (4), 2:0, 3:0 მაკატირი (21, 25), 4:0 ლეონარდსენი (45), 5:0 ინსი (51)

**ნიუკასლი 3:1 ჩელსი**
1:0 დაბიზასი (39), 2:0 ლი (42), 3:0 სპიდი (58), 3:1 დი მატეო (77)

**უიმბლდონი 2:6 ტოტენჰემი**
0:1 ფერდინანდი (18), 1:1, 2:1 ფეარი (22, 30), 2:2, 2:3, 2:4, 2:5 კლინსმანი (41, 54, 58, 60), 2:6 საიბი (79)

**ბოლტონი 5:2 კრ. პალასი**
1:0 ბლეიკი (7), 1:1 გორდონი (8), 1:2 ბენტი (16), 2:2 ფიში (20), 3:2 ფილიპსი (30), 4:2 ტომპსონი (70), 5:2 ჰოლდსუორსი (79)

**ქოვენთრი 2:0 ბლექბერნი**
1:0 დაბლინი (193), 2:0 ბოტენგი (54)

**ლესტერი 1:0 ბარნსლი**
1:0 ზაგორაკისი (57)

**შეფილდი 1:3 ასტონ ვილა**
0:1 იორკი (21), 0:2 ჰენდრი (25), 0:3 იოაკიმი (50), 1:3 სანეტი (89)

**საუთჰემპტონი 0:2 დერბი**
0:1 დეილი (50), 0:2 სტარიჯი (88)

**არსენალი 4:0 ევერტონი**
1:0 ბილიჩი (6ს.კ.), 2:0, 3:0 ოვერმარსი (29, 57), ადამსი (89)

**მანჩესტერი — ლიდსი**
დღეს გაიმართება

მანჩესტერელთა ორწლიანი ჰეგემონია ინგლისში დასრულდა — ლონდონის „არსენალმა" გუშინ ჩემპიონობა მოიპოვა, კლუბის თავკაცი არსენ ვენგერი კი პირველი არაბრიტანელი მწვრთნელია ინგლისის ჩემპიონატი რომ მოიგო.

თუ მოხდა და 16 მაისს „არსენალმა" თასიც მოიგო, 1971 წლის შემდეგ პირველ დუბლს შესწვდება.

რამდენიმე ხნის წინ ტოტენჰემელთა მწვრთნელმა კრისტიან გროსმა კლუბის ფრანგი ნახევარმცველი დავიდ ჟინოლას შესანიშნავი თამაში რომ იხილა, საფრანგეთის ნაკრების თავკაც ემე ჟაკეს გასაგონად თქვა, დავიდი ახლა ბრწყინვალე ფორმაშია, რატომ არ იწვევენ ნაკრებში, ჩემთვის გაუგებარიაო. მერე მიდგა, აქო და ადიდა ჟინოლა, თუმცა ამით ჟაკე მაინცდამაინც არ დაინტერესებულა — ჟინოლა კვლავ ნაკრებს მიღმაა დარჩენილი.

ახლა, როცა „ტოტენჰემმა" ლონდონურ დერბიში „უიმბლდონი" ანგრია, გროსის ერთ-ერთმა შეგირდმა კლინსმანმა კი ოთხი გოლი გაიტანა, ტოტენჰემელთა მწვრთნელი კვლავ ლეგიონერთა ქება-დიდების იშტაზე მოვიდა. სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ იყო, გროსმა დაახლოებით ნახევარი საათი კლინსმანის სანაკრებო მომავალზე რომ ისაუბრა, ბოლოს კი, ჟინოლას შემთხვევის დარად, ახლაც სცადა კოლეგის, ოღონდ ამჯერად გერმანელი ბერტი ფოგთსის ყურადღების მიპყრობა — კლინსმანი შესანიშნავი მოთამაშეა. მართალია, ცოტა კრიზისი კი ჰქონდა, მაგრამ ხომ ხედავთ, პრემიერლიგის შეხვედრაში ოთხი ბურთის შეგდება ძალუძს, ეს კი მის უშრეტ ძალასა და ენერგიაზე მიუთითებსო. ერთი სიტყვით, თუ მოხდა და „ტოტენჰემის" ისეთმა მოთამაშემ გაიბრწყინა, რომლის ქვეყნის ნაკრებში მოხვედრას არა და არ დაადგა საშველი, მას კრისტიან გროსის სახით ერთგული მხარდამჭერი აუცილებლად ეყოლება.

კლინსმანს რაც შეეხება, მან უიმბლდონელებთან მართლაც შესანიშნავად ითამაშა, მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, მეტოქის კარში გატანილი ერთ მატჩში ოთხი გოლი მაინც ყველა თანაკლუბელის გარჯას გადასწონიდა. სხვათა შორის, ამ სეზონში მეორედ მოხდა, ჩემპიონატის შეხვედრში ფეხბურთელმა ოთხი გოლის გატანა რომ მოახერხა — ეს პირველად, კლინსმანის დარად ლეგიონერმა, ახლა უკვე „ჩელსის" მწვრთნელმა იტალიელმა ჯანლუკა ვიალიმ მოახერხა.

გერმანელი ცენტრფორვარდის ოთხმა, ლეს ფერდინანდის და მუსა საიბის გოლებმა სავარაუდოდ „ტოტენჰემს" პრემიერლიგაში დარჩენა გაუნაღდეს:

— ვფიქრობ, პრემიერლიგელების სტატუსს შევინარჩუნებთ. ცხადია, პირველ დივიზიონში დაქვეითების შანსი კვლავ არის, მაგრამ ნაკლებად. ოთხ შეგდებულ ბურთზე რომ ვთქვა, მხოლოდ გამიხარდაო, არასწორი იქნება. ეს დაუვიწყარი მოვლენაა, წარუშლელი. ისე რაღა დაგიმალოთ, „პოკერის" (მატჩში გატანილი ოთხი ბურთი) შესრულება მაინცდამაინც არ გამჭირვებია. დღეს მთელმა გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა და საქმეც ძალიან გამიიოლდა — კლინსმანმა ოთხი გოლისგან მინიჭებული სიამოვნება თანაგუნდელთა დამსახურებად ჩათვალა.

# არსენალი ჩემპიონია

## სიტი კი პირველი დივიზიონიდანაც გავარდა

ამ ტურში, რომელიც ჯერაც არაა მთლიანად გასრულებული (ერთი შეხვედრა „მანჩესტერს" და „ლიდსს" შორის დღეს გაიმართება), ძალიან ბევრი ბურთი გავიდა. შაბათს გამართული რვა მატჩიდან კი ხუთში ოთხ გოლზე ნაკლები არ ყოფილა. შედეგიანობით პირველი „უიმბლდონი" — „ტოტენჰემის" დაპირისპირება გახლდათ, თუმცა შარშან პირველი დივიზიონის ჩემპიონ „ბოლტონსაც" არ დაუნდია უკვე პრემიერლიგიდან გავარდნილი „კრისტალ პალასი". რაც შეეხება გამარჯვებას, აქ „ლივერპულის" მიერ ლონდონელი „ჩაქუჩების" ძლევაა აღსანიშნავი — „ვესტ ჰემი" შაბათს, „ენფილდ როუდზე" მიწასთან გასწორდა.

ოთხბურთიანი უპირატესობა პირველივე ტაიმში იმის საბაბს იძლევა, რომ ლიდერმა მეორე ნახევარი გარკვეულწილად მოდუნებულად ჩაატაროს. ლივერპულშიც იგივე მოხდა — 51-ე წუთზე „ლივერპულის" კაპიტანმა პოლ ინსმა სტუმართა კარი მეხუთედ აილო და ფეხბურთიც, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, რამდენიმე წუთში დასრულდა. თამაში კი კიდევ კარგა ხანს გრძელდებოდა.

— სამი-ოთხი დასანანი მარცხის გამო „ლივერპულისთვის" დღესდღეობით ჩემპიონთა ლიგაში თამაში საოცნებოა. არადა, თავისუფლად შეგვეძლო ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში მონაწილეობა. ჩემპიონატი თითქმის დასრულდა. გვსურს, გულშემატკივრებს განვლილი სეზონი ტკბილად დაამახსოვრდეთ — გამარჯვებულთა თავკაცი, როი ევანსი გახარებული ჩანდა.

„ლივერპულის" მთავარი მოცილე მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ლიგის თასის მფლობელი და თასების თასის ფინალში გასული „ჩელსია". ჯანლუკა ვიალის ლეგიონერებით გადატენილ კლუბს პირველობის ბოლოს მესამე ადგილზე გასვლის შანსი გაუჩნდა, თუმცა მორიგმა მარცხმა მათი იმედები ერთობ შეამცირა. „ნიუკასლმა" დედაქალაქელ მეტოქეს სამი გოლი გაუტანა. არადა, ამდენი ბურთი ერთ თამაშში კენი დალგლიშის გუნდს ამ სეზონში ოთხჯერ-ხუთჯერ თუ შეუგდია. ისე, რობერტო დი მატეოს ერთი ბურთი რომ არ გაექვითა, ნიუკასლელები ამ სეზონში პირველ მატჩს მოიგებდნენ სამი და მეტი ბურთის სხვაობით, ეგრეთ წოდებული დიდი ანგარიშით.

— როგორც ჩანს, „ნიუკასლის" ლიგიდან გავარდნის საფრთხემ გადაიარა. დარჩენილ შეხვედრებში, ცხადია, მაქსიმუმის მიღწევას ვეცდებით, მაგრამ დღეს ჩვენი საფიქრალი ასოციაციის თასია. იგი აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ევროტურნირებზე თამაში ფაქტობრივად განაღდებული გვაქვს („არსენალი" რადგან ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, თასის მოგების და ფინალის წაგების შემთხვევაშიც თასების თასზე ნიუკასლელები გავლენ), მაგრამ როცა თასის მფლობელის სტატუსით ასპარეზობ, მაინც სხვაა — კენი დალგლიში იმედოვნებს, რომ როგორც მწვრთნელი, მორიგ ჯილდოს მოიპოვებს.

ნიუკასლელებმა კი გადაჭრეს პრემიერლიგაში დარჩენა-არდარჩენის საკითხი, მაგრამ პატარა „ბარნსლიმ" დასახულ ამოცანას თავი ვერ გაართვა — ლიგის თასის შარშანდელი მფლობელ „ლესტერთან" მინიმალური მარცხი პრემიერლიგაში პირველად მოთამაშე „ბარნსლისთვის" დამღუპველი აღმოჩნდა. გუნდი სეზონის ბოლოს იქ დაბრუნდა, საიდანაც მოვიდა.

— ალლო ლიგას გვიან ავუღეთ. მეორე წრე პირველთან შედარებით გაცილებით უკეთ ვითამაშეთ, თუმცა, როგორც ჩანს, ავზი საწვავისგან დაგვეცალა. გული მეტკინა, ჩვენი პრემიერლიგიდან გავარდნა ოფიციალურად რომ გადაწყდა. ეს ძალიან საწყენია — ნაღვლიანად ესაუბრებოდა „ბარნსლის" მწვრთნელი დენი უილსონი ჟურნალისტებს.

შინ დამარცხდა „შეფილდ უენსდეი", თუმცა მასპინძელთა წაგებაშიც მოხდა აღსანიშნავი რამ — შეფილდელთა ერთადერთი გოლი სადებიუტო მატჩში 19 წლის ფრანჩესკო სანეტიმ გაიტანა. იტალიელმა ჭაბუკმა, რომლის გადაბირებასაც შეფილდელები რამდენიმე თვეს ცდილობდნენ და რომლის კლუბში ჩარიცხვაც მხოლოდ ორიოდ დღის წინ მოახერხეს.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 36 | 23 | 9 | 4 | 68:28 | 78 |
| მანჩესტერი | 36 | 21 | 8 | 7 | 68:26 | 71 |
| ლივერპული | 36 | 17 | 11 | 8 | 64:41 | 62 |
| ჩელსი | 37 | 19 | 3 | 15 | 69:43 | 60 |
| ლიდსი | 36 | 17 | 7 | 12 | 56:42 | 58 |
| ბლექბერნი | 37 | 15 | 10 | 12 | 56:52 | 55 |
| ასტონ ვილა | 37 | 16 | 6 | 15 | 48:48 | 54 |
| ლესტერი | 37 | 13 | 14 | 10 | 48:37 | 53 |
| დერბი | 37 | 15 | 7 | 15 | 51:49 | 52 |
| ვესტ ჰემი | 36 | 15 | 7 | 14 | 49:51 | 52 |
| ქოვენთრი | 37 | 12 | 15 | 10 | 45:43 | 51 |
| საუთჰემპტონი | 37 | 14 | 5 | 18 | 49:54 | 47 |
| ნიუკასლი | 37 | 11 | 11 | 15 | 35:43 | 44 |
| შეფილდი | 37 | 12 | 8 | 17 | 52:66 | 44 |
| ტოტენჰემი | 37 | 11 | 10 | 16 | 43:55 | 43 |
| უიმბლდონი | 37 | 10 | 13 | 14 | 33:45 | 43 |
| ბოლტონი | 37 | 9 | 13 | 15 | 41:59 | 40 |
| ევერტონი | 37 | 9 | 12 | 16 | 40:55 | 39 |
| ბარნსლი | 37 | 10 | 5 | 22 | 37:80 | 35 |
| კრ. პალასი | 36 | 7 | 8 | 21 | 33:68 | 29 |

### პირველი დივიზიონი

46 ტური. ბირმინგემი — ჩარლტონი 0:0; ბრედფორდი — პორტსმუთი 1:3; ჰადერსფილდი — პორტ ვეილი 0:4; იფსვიჩი — ქრიუ 3:2; მიდლსბრო — ოქსფორდი 4:1; ქუინზ პარკი — ბერი 0:1; რედინგი — ნორვიჩი 0:1; სტოკპორტი — შეფილდ იუნაიტედი 1:0; სტოკ სიტი — სიტი 2:5; სვინდონი — სანდერლენდი 1:2; ტრანმერი — ვულვერჰემპტონი 2:1; ვესტ ბრომვიჩი — ნოტინგემი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნოტინგემი | 46 | 28 | 10 | 8 | 82:42 | 94 |
| მიდლსბრო | 46 | 27 | 10 | 9 | 77:41 | 91 |
| სანდერლენდი | 46 | 26 | 12 | 8 | 86:50 | 90 |
| ჩარლტონი | 46 | 26 | 10 | 10 | 80:49 | 88 |
| იფსვიჩი | 46 | 23 | 14 | 9 | 77:43 | 83 |
| შეფილდ იუნ. | 46 | 19 | 17 | 10 | 69:54 | 74 |
| ბირმინგემი | 46 | 19 | 17 | 10 | 60:35 | 74 |
| სტოკპორტი | 46 | 19 | 8 | 19 | 71:69 | 65 |
| ვულვზი | 46 | 18 | 11 | 17 | 57:53 | 65 |
| ვესტ ბრომვიჩი | 46 | 16 | 13 | 17 | 50:56 | 61 |
| ქრიუ | 46 | 18 | 5 | 23 | 58:65 | 59 |
| ოქსფორდი | 46 | 16 | 10 | 20 | 60:64 | 58 |
| ბრედფორდი | 46 | 14 | 15 | 17 | 46:59 | 57 |
| ტრანმერი | 46 | 14 | 14 | 18 | 54:57 | 56 |
| ნორვიჩი | 46 | 14 | 13 | 19 | 52:69 | 55 |
| ჰადერსფილდი | 46 | 14 | 11 | 21 | 50:72 | 53 |
| ბერი | 46 | 11 | 19 | 16 | 42:58 | 52 |
| სვინდონი | 46 | 14 | 10 | 22 | 42:73 | 52 |
| პორტ ვეილი | 46 | 13 | 10 | 23 | 56:66 | 49 |
| პორტსმუთი | 46 | 13 | 10 | 23 | 51:63 | 49 |
| ქუინზ პარკი | 46 | 10 | 19 | 17 | 51:63 | 49 |
| სიტი | 46 | 12 | 12 | 22 | 56:57 | 48 |
| სტოკ სიტი | 46 | 11 | 13 | 22 | 44:74 | 46 |
| რედინგი | 46 | 11 | 9 | 26 | 39:78 | 42 |

*„ნოტინგემ ფორესტი" და „მიდლსბრო" გაიხად პრემიერლიგაში ითამაშებენ, ხოლო „სანდერლენდი", „ჩარლტონი", „იფსვიჩი" და შეფილდ იუნაიტედი" ერთმანეთში გაითამაშებენ პრემიერლიგის მესამე საგზურს. ლიგა დატოვეს „სიტიმ" „სტოკმა" და „რედინგმა"*



უიმბლდონი — ტოტენჰემი. კლინსმანმა სიხარულისგან გა(ა)იფრინა

სარჩიელის არქივიდან

# არატრადიციული ფინალი



REUTERS

იტალიელი მარკო სიმონე ფრანგული თასის მოპოვებას ზეიმობს

## საფრანგეთი

### თასის ფინალი

**პსჟ 2:1 ლანსი**

**პარი სენ ჟერმენი:** ფერნანდესი, ალჟერინო, როში, ლე გუენი, რაბესანდრატანა, დომი, დიუკრო, რაი, გავა, სიმონე (ფურნიე 88), მორისი

**ლანსი:** ვარმუსი, სიკორა, ვალემი, მანიერი, დებევი (ბრიუნელი 67), დეჲ ფოე, ზიანი, შმიცერი, დრობნიაკი (ელოი 60), ვერელი

1:0 რაი (25), 2:0 სიმონე (52), 2:1 შმიცერი (82)

„პარი სენ ჟერმენი" თასების მოპოვებაში დაოსტატდა. პარიზულმა კლუბმა 1993 წლის შემდეგ, აგერ უკვე მესამედ მოიგო საფრანგეთის თასი, რომლის გარდა ამ პერიოდში მას ორჯერ ლიგისა და ერთხელ ევროპის თასების მფლობელთა თასიც აქვს მოპოვებული.

„სტად დე ფრანსზე" გამართულ ფინალში სენჟერმენელთაგან გოლები ბრაზილიელმა რაიმ და იტალიელმა მარკო სიმონემ გაიტანეს. სხვათა შორის, ამ წყვილმა ერთი თვის წინ, ლიგის თასის ფინალშიც გაიტანა გოლები, სადაც პარიზელებმა 2:2-ის შემდეგ „ბორდოს" პენალტებით აჯობეს.

სტადიონი სავსე იყო, შეხვედრას 80 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. „ლანსის" გულშემატკივრებს იმედი ჰქონდათ, რომ მათი გუნდი „პარი სენ ჟერმენს" დაამარცხებდა და საფუძველს ჩაუყრიდა კლუბის ისტორიაში არნახულ შედეგს — დუბლს. შაბათს ხომ სტუმრად, „ოსერთან" გამარჯვების შემთხვევაში „ლანსი" საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულსაც მოიპოვებს, მაგრამ საქმე სხვანაირად მოტრიალდა თუმცა თავიდან მაინც „ლანსს" შეეძლო ანგარიშის გახსნა.

მე-16 წუთზე მარცხენა მცველმა მიკაელ დებევმა, დაახლოებით 25 მეტრიდან დაბალი ბურთი დაარტყა, მაგრამ პარიზელთა მეკარემ ვინსენტ ფერნანდესმა კუთხურზე მოიგერია. მომდევნო წუთზე უკვე გავას უზუსტესი, გამჭოლი პასით სიმონე მეკარესთან პირისპირ გავიდა, თუმცა დეუმ ივაჟკაცა, ბოლო მომენტში წამოეწია იტალიელს და ტექნიკური ვარდნით ბურთი კუთხურზე გადააგდო. 23 წუთზე, შმიცერის ჩაწოდების შემდეგ ვერელის თავური სანტიმეტრებით აცდა „პარი სენ ჟერმენის" კარს. 24-ზე შმიცერმა ულამაზესი დრიბლინგით ოთხი პარიზელი მშრალად დატოვა, მაგრამ მისი დარტყმა კვლავ მეკარემ მოიგერია კუთხურზე. ზუსტად მომდევნო წუთს კი „პარი სენ ჟერმენმა" შეუტია და ანგარიშიც გახსნა: მორისის ჩაწოდებას პარიზელთა კაპიტნის სოუზა ვიეირა დე ოლივეირა რაის ბრწყინვალე თავური მოჰყვა.

„ლანსი" მალე მოეგო გონს და ზიანიმ, ვერელმა და შმიცერმა რამდენიმე მწვავე იერიში წამოიწყეს, მაგრამ უშედეგოდ, ხოლო ტაიმის ბოლო 10 წუთი უინტერესო გამოდგა.

მეორე ნახევარიც ჩრდილოეთელთა შეტევებით დაიწყო: კვლავ უშედეგოდ. მოედნის ცენტრში რაი აშკარად ჩაგრავდა ფოეს, რამაც მალე ნაყოფი გამოიღო: 53-ე წუთზე ბრაზილიელმა მორიგი ორთაბრძოლა მოუგო კამერუნელს და დიუკროს გადააწოდა, რასაც ახალგაზრდა პარიზელის პასი მოჰყვა. „ლანსის" ორი მცველი სველ მინდორზე დაცურდა, სიმონემ (რომელიც მეორე ტაიმში გახეთქილი ქუსლით თამაშობდა) საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო ბურთი და უძლიერესი დარტყმით იმწამს მეტოქის კარის ცხრიანში გაგზავნა — 2:0.

ცოტა ხანში სიმონემ მარცხენა ფლანგიდან მშვენივრად ჩააწოდა მორისს, ამ უკანასკნელმა კი რაღაც მანქანებით ბურთს ფეხი ააცილა (რაც ბოლო დროს მისთვის იშვიათობა აღარაა).

თამაშის ბოლო 15 წუთში „ლანსმა" დაიბრუნა უპირატესობა, რამდენიმე შტურმიც მოუწყო „პარი სენ ჟერმენს", მაგრამ გოლი ვერ შეაგდო. 83-ე წუთზე კი ვერელმა გაიბრწყინა ჩვეული ოსტატობით (ნეტა ემე ჟაკე როდის აიყვანს ნაკრებში?!). მან მარცხენა ფლანგზე ულამაზესი ფინტით ალჟერინო და დიუკრო ერთმანეთს შეაჯახა და დაბალი პასი ჩააწოდა, დომიმ ვერაფრით მოახერხა საშიშროების განმუხტვა. მისი დაბნეულობით ისარგებლა შმიცერმა (რომელიც უდავოდ საუკეთესო იყო ორივე გუნდის შემადგენლობაში) და სხვაობა შეამცირა.

„ლანსს" მეორე სუნთქვა გაეხსნა. ჯერ ისევ ჩეხი შეიჭრა მარჯვნიდან, თუმცა მეტისმეტად მახვილი კუთხიდან ვერ შეძლო მეორე გოლის გატანა, 91-ე წუთზე კი ფოე შევიდა საჯარიმოში. მისი დარტყმა მცირედით აცდა კარს. სწორედ ეს იყო ამ მატჩის უკანასკნელი სახიფათო მომენტი. „ლანსმა" ვერ შეძლო საფრანგეთის თასის წართმევა სათასო ბრძოლებში გამოწრთობილი პარიზული კლუბისთვის და ახლა, მთელი ძალების დაძაბვა 9 მაისს მოუწევს, როცა ოსერში საჩემპიონოდ საკმარისი და საჭირო ერთადერთი ქულისთვის უნდა ჩავიდეს.

მატჩის შემდეგ: მიშელ დენიზო („პარი სენ ჟერმენის" პრეზიდენტი): „მადლობა ყველას, ვინც ამ 7 წლის განმავლობაში გვერდში მედგა. ახლა თანამდებობიდან გადავდგები და შემიძლია მივუბრუნდე პრესესიას, რომელიც ბავშვობიდანვე მიყვარდა — ჟურნალისტობას".

„ლანსის" კაპიტანი ჟან გი ვალემი: „სწრაფად უნდა დავივიწყოთ ეს თამაში და მთელი ყურადღება „ოსერზე" გადავიტანოთ!"

და ბოლოს ერთიც. საზეიმო ცერემონიალის დროს ორი ტრადიცია დაირღვა: ერთი ის, რომ თასი საფრანგეთის პრეზიდენტის მაგივრად გამარჯვებულ გუნდს სპორტის მინისტრმა გადასცა (პრეზიდენტი ბრიუსელში ევროვალუტასთან დაკავშირებით საქმეებს ვერ მოწყდა). მეორე — პარიზელთაგან ჯილდო ჩაიბარა არა კაპიტანმა, რაიმ, არამედ იუბილარმა დიდიე დომიმ.

**გაიოზ თალაქვაძე**
**პარიზიდან**

# კაიზერ ოტო

## გერმანია

XXXIII ტური

**კაიზერი 4:0 ვოლფსბურგი**
1:0 მარშალი (24), 2:0 ვაგნერი (52), 3:0 მარშალი (55), 4:0 რიშე (88)

**კარლსრუე 4:2 შტუტგარტი**
1:0 ჰენგენი (8), 1:1 აკპობორი (46), 2:1 რეგისი (48), 3:1 ჰესლერი (75), 3:2 რისტიჩი (88), 4:2 მეტცი (90)

**ვერდერი 1:0 ბოხუმი**
1:0 მაქსიმოვი (81)

**მიუნხენი 1:0 შალკე**
1:0 ჯორჯესი (8)

**არმინია 2:1 კიოლნი**
0:1 მუნტიანუ (16), 1:1, 2:1 ფუში (55, 74)

**ლევერკუზენი 0:1 ჰერტა**
0:1 რეკდალი (69პ)

**დუისბურგი 0:0 ბაიერნი**

**დორტმუნდი 0:1 ჰამბურგი**
0:1 სალიჰამიჯიჩი (1)

**გლადბახი 5:2 ჰანზა**
0:1 ნიუვილი (25), 1:1 ლუპესკუ (39პ), 2:1 ვინშოფი (43), 2:2 რემერი (57), 3:2 პფლიპსენი (72), 4:2 ვორონინი (88), 5:2 პეტერსონი (90)

ბუნდესლიგის ჩემპიონატის წლევანდელი სეზონის დამთავრებამდე ტურიც დარჩა, მაგრამ მთავარი უკვე გაირკვა. გერმანიას ახალი ჩემპიონი ჰყავს. და ეს გუნდი „ბაიერნი", „დორტმუნდი" ან „ლევერკუზენი" კი არა, „კაიზერსლაუტერნია". ასეც იყო მოსალოდნელი. „კაიზერი" თავიდანვე ლიდერობდა და ერთხელ მდევარი „ბაიერნი" 9 ქულითაც ჩამოიტოვა, მაგრამ ბოლოს ეს სხვაობა გაფლანგა და ქომაგები გვარიანად ანერვიულა.

და მაინც, „კაიზერი" ჩემპიონია!

შაბათს „წითელმა ეშმაკებმა" შინ „ვოლფსბურგი" 4:0 დაამარცხეს. მდევრებმა კი დუისბურგში ოდენ 0:0 ითამაშეს და სხვაობა იქამდე გაზარდეს, ბოლო ტურში ვერაფრით რომ დაფარავენ.

„ბეტცენბერგის" 38-ათასიან, სავსე სტადიონზე „კაიზერმა" დიდებული საღამო მოაწყო. ამაში ლომის წილი ჩემპიონთა თავდამსხმელმა ოლაფ მარშალმა დაიდო — სტუმრებს ორჯერ რომ გაუტანა.

თითო-თითოც „კაიზერსლაუტერნის" კაპიტანმა მარტინ ვაგნერმა და ფორვარდმა იურგენ რიშემ შეაგდეს.

„ბაიერნი", მანაც „დუსბურგთან" ბრძოლაში თავი რომ ვერაფრით გამოიჩინა, ვიცე-ჩემპიონობას უნდა დაჰყაბულდეს. 9 მაისს „დორტმუნდთან" სამასპინძლო მატჩის შედეგის მიუხედავად ექსჩემპიონებს შარშანდელ ტიტულზე უარის თქმა მოუწევთ. ვერცხლის მედლების დაკარგვა ბავარიელებს არ ემუქრებათ — მათ „ლევერკუზენი" ველარ დაეწევა, ისევე როგორც ამ უკანასკნელს სხვა რომელიმე გუნდი. „ბაიერნის" პრესტიჟს ახლა 16 მაისს გერმანიის თასის ფინალში მოგებაღა თუ დაიცავს, მაგრამ მეტოქეს არ იკითხავთ? „დუისბურგი", რომელმაც მიუნხენელებს ჩემპიონობისთვის ბრძოლა ბუნდესჩემპიონატის გასრულებამდე ერთი ტურით ადრე შეაწყვეტინა.

და თქვენ გგონიათ, რურგებითში ბავარიელებმა ვერ ივარგეს? აი, რას ამბობს სამშობლოში დასაბრუნებლად გახაზირებული „ბაიერნის" იტალიელი თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი.

— ჩვენ ძლიერ ნელა და ჭკუამოკლედ ვთამაშობდით. გამარჯვებას, თუ ვინმე, ისევ „დუისბურგი" იმსახურებდა.

ტრაპს არც „კაიზერსლაუტერნისთვის" მილოცვა დავიწყებია — „კაიზერი" სეზონის საუკეთესო გუნდია, მათ ღირსეულად გაიმარჯვეს.

„კაიზერსლაუტერნს" აქამდე სამჯერ მოეგო გერმანიის ჩემპიონატი — 1951, 53 და 91 წლებში. მაგრამ იგი პირველი გუნდია ბუნდესლიგის 35-წლიან ისტორიაში, სადებიუტო წელსვე რომ ავიდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე.

ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანწილად ოტო რეჰაგელის დამსახურებაა, რომელსაც ადრე „ვერდერი" გაუჩემპიონებია და ბრემენელებთან ერთად თასების მფლობელთა თასიც აუღია.

რეჰაგელი, ვინც „კაიზერი" მეორე ბუნდესლიგიდან პირველის ჩემპიონობამდე უმოკლესი გზით მიიყვანა, ამბობს:

— თუნდაც მეორე ადგილზე გასვლა დიდებული იქნებოდა, მაგრამ რაც შევძელით, ეს სულაც ფანტასტიურია. მე უნდა მივულოცო გუნდს, რომელმაც ბოლო მოგება ასე ლამაზად მოახერხა და ჩვენ გულშემატკივრებსაც. ისინი მთელი სეზონის მანძილზე გვერდით გვედგნენ და ამ გამარჯვებაში დიდი წილი დაიდეს.

ერთიც, რაც უკვე გარკვეულია, პირველი გავარდნილია. მიუხედავად იმისა, რომ ბილეფელდის „არმინიამ" ასევე გასაჭირში მყოფ „კიოლნს" 2:1 მოუგო, მას აღარაფერი ეშველება. ახლა საკითხავი ისღაა, მოუწევს თუ არა, „კიოლნის" თილისმას, ბებერი თხის მემკვიდრეს მეორე ბუნდესლიგურ საძოვრებზე პეტელი.

კიდევ ერთი, ვისაც გავარდნა „ჰანზასთან" 5:2 მოგების მიუხედავად კვლავ ემუქრება, მიონხენგლადბახის „ბორუსიაა". ამათდა სამწუხაროდ, „კარლსრუემ" „შტუტგარტს" სძლია და დარჩენის შანსი გაიუმჯობესა.

თუ „გლადბახი" და „კიოლნი" გავარდნენ, ბუნდესლიგის ისტორია ერთ, თუმცა უსიამო, ფაქტსაც შეიმატებს. ეს გუნდები ერთადერთნი არიან 1963 წლიდან მოყოლებული, ქვედალიგაში რომ არ ჩასულან.

ჩანს, წლევანდელ ევროტურნირებზე გასასვლელად „დორტმუნდს" ინტერტოტოს საგზურისთვის ბრძოლა მოუწევს. არადა, ჩემპიონთა თასის ექსმფლობელს ესეც სანატრელი გახდომია. ინტერტოტოს მეორე ადგილს „დორტმუნდს" ლევერკუზენში „ბაიერის" მძლეველი „ჰერტა" და „ჰამბურგი" ეცილება. სწორედ ის გუნდი, რომელიც გავარდნას გადაურჩა და შაბათს სტუმრად „ბორუსიაც" დაამარცხა.

ეს ბოლო საშინაო მატჩი იყო 35 წლის მიხაელ ცორკისთვის, რომელიც 1978 წლიდან „დორტმუნდშია" და ამ გუნდს კარგახანიც კაპიტნობდა. ცორკმა 462 მატჩში 131 გოლი გაიტანა და ახლა ფეხბურთს თავს ანებებს.

„დორტმუნდსვე" გამოემშვიდობა კლუბის სპორტული დირექტორი ოტმარ ჰიტცფელდი, რომელმაც შარშან „ბორუსიას" ჩემპიონთა თასი აალებინა. ჰიტცფელდი საგაისოდ ჯოვანი ტრაპატონის შეცვლის „ბაიერნის" საჭესთან. შაბათს გული დაიმშვიდა „მიუნხენმაც", რომელმაც მატჩის მიწურულს ორკაცნაკლულ „შალკეს" ოდენ 1:0 მოუგო გვიდო ჯორჯესის ადრეული გოლით.

**მახტანგ ბზიძაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერი | 33 | 19 | 10 | 4 | 62:38 | 67 |
| ბაიერნი | 33 | 18 | 9 | 6 | 65:37 | 63 |
| ლევერკუზენი | 33 | 14 | 12 | 7 | 64:37 | 54 |
| ვერდერი | 33 | 14 | 8 | 11 | 43:46 | 50 |
| შტუტგარტი | 33 | 13 | 10 | 10 | 54:49 | 49 |
| შალკე | 33 | 12 | 13 | 8 | 36:31 | 49 |
| ჰანზა | 33 | 13 | 9 | 11 | 50:44 | 48 |
| დორტმუნდი | 33 | 11 | 10 | 12 | 57:51 | 43 |
| ჰამბურგი | 33 | 11 | 10 | 12 | 37:45 | 43 |
| ჰერტა | 33 | 12 | 7 | 14 | 40:50 | 43 |
| დუისბურგი | 33 | 10 | 11 | 12 | 40:43 | 41 |
| მიუნხენი | 33 | 11 | 8 | 14 | 43:53 | 41 |
| ვოლფსბურგი | 33 | 11 | 6 | 16 | 38:52 | 39 |
| ბოხუმი | 33 | 10 | 8 | 15 | 40:49 | 38 |
| კარლსრუე | 33 | 9 | 11 | 13 | 46:56 | 38 |
| გლადბახი | 33 | 8 | 11 | 14 | 52:59 | 35 |
| კიოლნი | 33 | 10 | 5 | 18 | 47:62 | 35 |
| არმინია | 33 | 8 | 8 | 17 | 42:54 | 32 |

### მეორე ბუნდესლიგა

29-ე ტური. ზანქტ პაული — ლაიფციგი 1:0; მაინცი — ფრაიბურგი 0:1; მეპენი — ურდინგენი 2:3; დიუსელდორფი — კიკერსი 0:1; უნტერჰახინგი — აინტრახტი 1:2; ფორტუნა — კოტბუსი 2:0; გიუტერსლო — ვატენშაიდი 0:0; ფიურტი — კარლ ცაისი 3:0; ცვიკაუ — ნიურნბერგი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აინტრახტი | 29 | 16 | 10 | 3 | 42:24 | 58 |
| ნიურნბერგი | 28 | 16 | 4 | 8 | 41:24 | 52 |
| ფრაიბურგი | 29 | 14 | 7 | 8 | 46:31 | 49 |
| გიუტერსლო | 29 | 12 | 12 | 5 | 37:22 | 48 |
| ზანქტ პაული | 29 | 10 | 13 | 6 | 31:28 | 43 |
| ფორტუნა | 29 | 10 | 12 | 7 | 46:42 | 42 |
| ურდინგენი | 29 | 11 | 8 | 10 | 30:29 | 41 |
| ფიურტი | 29 | 10 | 9 | 10 | 26:27 | 39 |
| უნტერჰახინგი | 29 | 9 | 11 | 9 | 37:29 | 38 |
| ვატენშაიდი | 29 | 10 | 8 | 11 | 38:31 | 38 |
| კოტბუსი | 29 | 8 | 13 | 8 | 28:28 | 37 |
| დიუსელდორფი | 29 | 10 | 7 | 12 | 43:46 | 37 |
| ლაიფციგი | 28 | 10 | 7 | 11 | 29:40 | 37 |
| კიკერსი | 29 | 10 | 6 | 13 | 37:42 | 36 |
| მაინცი | 29 | 6 | 13 | 10 | 40:44 | 31 |
| კარლ ცაისი | 28 | 7 | 7 | 14 | 30:48 | 28 |
| მეპენი | 29 | 5 | 9 | 15 | 32:51 | 24 |
| ცვიკაუ | 28 | 3 | 8 | 17 | 19:46 | 17 |



REUTERS კაიზერსლაუტერნიდან

ოტო რეჰაგელი (მარჯვნივ) და კლუბის პრეზიდენტი ჰუბერტ რესლერი ჩემპიონობამ ერთმანეთს ჩააკონა

„კაიზერსლაუტერნი" გერმანიის ჩემპიონია! ამის წარმოდგენა შარშან, როდესაც გუნდმა მეორე ბუნდესლიგაში იმარჯვა, ალბათ, არავის შეეძლო. არავის, გარდა ოტო რეჰაგელისა, რომელმაც მართლაც სასწაული მოახდინა და ბუნდესლიგის 35-წლიან ისტორიაში „კაიზერს" პირველად გაამარჯვებინა. სწორედ ამიტომაც მოხდა, რომ ამ მართლაც შესანიშნავ სპეციალისტს „მეფე ოტო" შეარქვეს. რეჰაგელმა თავისი კარგი მწვრთნელობა ჯერ კიდევ მაშინ დაამტკიცა, როდესაც ბრემენის „ვერდერს" ედგა სათავეში. იმ პერიოდში ბრემენელებმა ორჯერ მოიპოვეს ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, ხოლო 1992 წელს სულაც თასების მფლობელთა თასს გამოჰკრეს ხელი. მისი რეპუტაცია დღითიდღე იზრდებოდა, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, უარი ეთქვა მრავალ სარფიან წინადადებაზე და კონტრაქტი მეორე ბუნდესლიგაში მყოფ არცთუ ისე ძლიერ „კაიზერსლაუტერნთან" გაეფორმებინა. და დაიწყო...

რაც რეჰაგელმა პირველ რიგში გააკეთა, ეს გუნდის მეორე ბუნდესლიგაში გამარჯვება იყო. „წითელმა ეშმაკებმა" ნელ-ნელა უმატეს თამაშს და გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლას სრულ მზადყოფნაში, მეტად კონცენტრირებულები შეხვდნენ.

## ჩვენ კაიზერსლაუტერნიდან ვართ

ამასთან ერთად, რეჰაგელმა კლუბის ხელმძღვანელობას მოსთხოვა, გამოეყოთ 6,5 მილიონი მარკა (3,6 მილიონი დოლარი) მილანის „ინტერის" შვეიცარიელი ნახევარმცველის ჩირიაკორ სფორცას შესაძენად. ეს საკმაოდ რისკიანი გადაწყვეტილება იყო. პირველ რიგში იმიტომ, რომ სფორცა „ინტერში" ნამდვილად ვერ ბრწყინავდა და მეორც — ეს იყო კლუბის ისტორიაში ყველაზე ძვირი ტრანსფერი. მაგრამ როგორც შემდგომში აღმოჩნდა, რისკმა ასი პროცენტით გაამართლა. სფორცა მთელი სეზონის განმავლობაში გვარიანად ირჯებოდა და „კაიზერს" მეტად ეფექტურად დირიჟორობდა. რეჰაგელმაც გადაწყვიტა, გუნდი მასზე აეწყო და მეტი ვარსკვლავის ყიდვა აზრადაც არ მოსვლია. მან ძირითადი აქცენტი გუნდურ თამაშზე გააკეთა და როგორც ყოველთვის, არც ახლა შემცდარა.

„კაიზერსლაუტერნმა" სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო, რასაც თვით ჩემპიონი, მიუნხენის „ბაიერნიც" შეეწირა. „წითლებმა" 1:0 იმარჯვეს სტუმრად და მთელი საფეხბურთო სამყარო აალაპარაკეს. იგივე მოხდა მეორე წრეშიც, „ბაიერნმა" კვლავ წააგო შეხვედრა ახალბედებთან, თანაც 0:2 და საკითხს, თუ ვინ გახდებოდა გერმანიის წლევანდელი ჩემპიონი, დიდი კითხვის ნიშანი დაესვა. შაბათს, 2 მაისს, როდესაც „კაიზერმა" „ვოლფსბურგი" 4:0 გაანადგურა, ოტო რეჰაგელმა ეს კითხვის ნიშანი ძახილის ნიშნად აქცია და განაცხადა: „ვინ იფიქრებდა ამას წელიწადნახევრის წინ, როდესაც ჩვენ მეპენში 1:2 დავმარცხდით? სწორედ ეს არის ფეხბურთის ხიბლი და ბრწყინვალება. დღევანდელი დღე ერთ-ერთი ყველაზე დიდებულია ჩემს ცხოვრებაში."

ეს დღე მართლაც ბევრს დაამახსოვრდება სამუდამოდ. პირველ რიგში, თავად ფეხბურთელებს და, რალა თქმა უნდა, მათ გულშემატკივრებს.

54 წლის რეჰაგელმა არც ისინი დაივიწყა: „დიდი მადლობა ჩვენს მხარდამჭერებს. ჩვენ მთელი წელი ვგრძნობდით მათ თანადგომას და ეს ძალიან დაგვეხმარა წარმატების მიღწევაში. ახლა მათ თავისუფლად შეუძლიათ, ამოისუნთქონ და სადაც არ უნდა იყვნენ, სიამაყით თქვან — ჩვენ კაიზერსლაუტერნიდან ვართ."

შაბათის ტრიუმფის შემდეგ რეჰაგელმა თავისთან უხმო ფეხბურთელებს და მოუწოდა მათ, რომ დღესასწაული ძალიან დიდხანს არ გაგრძელებულიყო: „ეს ყველაფერი რაც შეიძლება მალე უნდა დასრულდეს. ჩვენ კვლავ თავდაუზოგავი მუშაობა მოგვიწევს." ამით მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ წარმატების უპირველესი გარანტი შრომა და ფეხბურთელებისადმი განსაკუთრებული მიდგომაა. იგი ხომ ყოველთვის იმეორებდა: მწვრთნელი ყოველდღე უნდა ცდილობდეს, რომ თავისი მოთამაშის სულს რაც შეიძლება ღრმად ჩაწვდეს."

მაშ ასე, წლევანდელი ბუნდესლიგური მარათონი სენსაციურად, მაგრამ ლოგიკურად დასრულდა. უძლიერესმა გაიმარჯვა და ალბათ ეს დღე 1998 წლის 2 მაისი, გერმანულ ფეხბურთში ახალი, „წითელი ეშმაკების" და ოტო რეჰაგელის ერის დასაბამი იქნება. გაუმარჯოს „მეფე ოტოს"!

**დავით კოვზირიძე**

## იტალია

XXXII ტური

**ატალანტა 2:0 ბარი**
1:0 კაჩა (19), 2:0 მაგალანესი (82)

**ბოლონია 2:2 ემპოლი**
1:0 რ. ბაჯო (14პ), 2:0 პარამატი (17), 2:1 კ. ესპოზიტო (42), 2:2 კაპელინი (90პ)

**ფიორენტინა 5:1 ბრეშა**
1:0 ბატისტუტა (1), 2:0 ოლივეირა (36), 3:0 ედმუნდო (38), 4:0 ბატისტუტა (40), 5:0 შვარცი (49), 5:1 ჰუბნერი (54)

**ინტერი 0:0 პიაჩენცა**

**ლეჩე 1:0 ლაციო**
1:0 პალმიერი (43)

**ნაპოლი 1:3 უდინეზე**
0:1 პოჯი (4), 1:1 ტურინი (11პ), 1:2 1:3 ბირჰოფი (45, 88)

**პარმა 2:2 სამპდორია**
1:0 კიეზა (35), 1:1 პაკო (66), 2:1 სენსინი (79), 2:2 ბოღოსიანი (87)

**რომა 5:0 მილანი**
1:0 კანდელა (16), 2:0 3:0 დი ბიაჯო (20, 29), 4:0 პაულო სერჯიო (38), 5:0 დელვეკიო (82)

**ვიჩენცა 0:0 იუვენტუსი**

ამრიგად დარჩა ორი ტური, მაგრამ შესაძლოა ბოლოს აზრიც აღარ ჰქონდეს. გუშინ „იუვენტუსმა" ვიჩენცაში 0:0 ითამაშა და ვინაიდან მილანში „ინტერ" — „პიაჩენცას" მატჩიც ასეთივე ანგარიშით დამთავრდა, პირველ და მეორე ადგილებს შორის სხვაობა არ შეცვლილა, ისევ ოთხი ქულაა. შესაბამისად, თუ „იუვენტუსი" შემდეგ ტურში, შინ „ბოლონიას" დაამარცხებს, „ინტერის" ბარიში სტუმრობისას რაც უნდა მოხდეს, „სკუდეტო" ტურინელ ზებრას დარჩება.

რონალდომ და კომპანიამ „სან სიროზე" ყველა ღონე იხმარა „პიაჩენცას" დასამარცხებლად. მასპინძლები დიდ უპირატესობას ფლობდნენ. საუცხოო მომენტები ვერ გამოიყენეს თავად ბრაზილიელმა ფორვარდმა, ნიგერიელმა ნვანკვო კანუმ და დაუდგრომელმა არგენტინელმა დიეგო სიმეონემ. „პიაჩენცას" ეშხში შესულ გოლკიპერს „შავ-ლურჯთა" შეტევების მოგერიებაში ერთხელ მისგან მარცხენა ძელიც შეეშველა და ასეთმა თავგანწირვამ შედეგი გამოიღო — 0:0.

„იუვეს" ვიჩენცაში უფრო მოკრძალებული მატჩი ჰქონდა. ანკი რა გასაკვირია, „ბებერი ქალბატონი" ჯერ ერთი სტუმრად იყო, მეორეც არცთუთ ხელწამოსაკრავ მეტოქესთან, ამიტომაც მისი 0:0 მთლად ურიგო შედეგად არ უნდა ჩაითვალოს.

როგორც ვთქვით, შემდეგ ტურში „იუვე" რობერტო ბაჯოს ბოლონიას მასპინძლობს. „ბოლონიამ" გუშინ „ემპოლისთან" 2:2 ითამაშა და ბაჯომ ისევ გაიტანა, ოღონდ წინა ორი ტურისგან განსხვავებით არა ორი, არამედ ერთი გოლი. 31 წლის ვარსკვლავმა თავისივე შექმნილი (უფრო კი გამოგონილი) პენალტი შეაგდო. შეაგდო და მავანი გულშემატკივრის კიცნაც დაიმსახურა. დიახ, ცენტრში მდგომ რობერტოს ტრიბუნიდან ტიფოზი გადმოუხტა, მიეჭრა, აქეთ-იქით ლოყებზე აკოცა და „ბოლონიას" შარფიც შემოახვია. ვარსკვლავი, როგორც დიდსულოვან ადამიანს შეფერის, ამ ინციდენტს მშვიდი ღიმილით შეხვდა. ახლა ბაჯოს მიმდინარე ჩემპიონატში 19, სერია A-ში გატარებულ კარიერაში კი 148 გოლი აქვს გატანილი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 32 | 20 | 10 | 2 | 63:25 | 70 |
| ინტერი | 32 | 20 | 6 | 6 | 57:24 | 66 |
| უდინეზე | 32 | 17 | 7 | 8 | 58:39 | 58 |
| ლაციო | 32 | 16 | 8 | 8 | 51:24 | 56 |
| პარმა | 32 | 15 | 11 | 6 | 53:35 | 56 |
| რომა | 32 | 15 | 10 | 7 | 62:39 | 55 |
| ფიორენტინა | 32 | 13 | 12 | 7 | 59:35 | 51 |
| სამპდორია | 32 | 13 | 8 | 11 | 51:52 | 47 |
| ბოლონია | 32 | 11 | 12 | 9 | 51:42 | 45 |
| მილანი | 32 | 11 | 10 | 11 | 36:40 | 43 |
| ვიჩენცა | 32 | 9 | 9 | 14 | 33:55 | 36 |
| ემპოლი | 32 | 9 | 7 | 16 | 46:52 | 34 |
| ბარი | 32 | 9 | 7 | 16 | 26:42 | 34 |
| პიაჩენცა | 32 | 6 | 15 | 11 | 23:34 | 33 |
| ატალანტა | 32 | 7 | 10 | 15 | 24:46 | 31 |
| ბრეშა | 32 | 7 | 8 | 17 | 40:61 | 29 |
| ლეჩე | 32 | 6 | 7 | 19 | 30:68 | 25 |
| ნაპოლი | 32 | 2 | 7 | 23 | 22:72 | 13 |

### სერია B

32-ე ტური. ანკონა — რეჯანა 1:1; კალიარი — პერუჯა 0:0; ფანრია — რეჯინა 0:2; ფოჯა — პადოვა 2:0; ჯენოა — სალერნიტანა 1:1; მონცა — ლუკეზე 3:1; პესკარა — დი სანგრო 1:2; ტორინო — რავენა 1:0; ვენეცია — კიევო 2:0; ვერონა — ტრევიზო 1:1

## ესპანეთი

XXXVI ტური

**დეპორტივო 1:2 ვალენსია**
0:1 მენდიეტა (65პ), 1:1 ლ. სკალონი (81), 1:2 მენდიეტა (90)

**სპორტინგი 0:2 სოსიედადი**
0:1 ცვიტანოვიჩი (20), 0:2 ალდეონდო (90)

**ტენერიფე 2:0 სალამანკა**
1:0 დომინგუში (80), 2:0 პინილია (85)

**მალიორკა 2:1 ატლეტიკო**
0:1 პაუნოვიჩი (13), 1:1 გალვესი (43), 2:1 მოია (51)

**ბარსელონა 1:3 ბეტისი**
1:0 ბოგარდი (24), 1:1 ალფონსო (45), 1:2, 1:3 ფინიდი (63, 90)

**რასინგი 1:1 ესპანიოლი**
0:1 სემბრანოსი (9), 1:1 ხ. გერერო (88)

**ვალიადოლიდი 0:0 მერიდა**

**ბილბაო 3:0 ოვიედო**
1:0 სიგანდა (43), 2:0 ურსაისი (65), 3:0 ლასა (85)

**სელტა 3:3 კომპოსტელა**
1:0 ბერგესი (10), 1:1 საიბი (28), 1:2 ლეკუმბერი (40), 2:2 ხ. სანჩესი (60), 2:3 სიონი (75), 3:3 მოისესი (90პ)

**რეალი — სარაგოსა**
დღეს გაიმართება

...სანტანდერის „რასინგის" ნახევარმცველმა ხოსე ფელიქს გერერომ თამაშის მიწურულს მარჯვენა მოიქნია მარჯვენა და მეტოქის კარის ბადეც შეარხია. გოლი მაინც და მაინც ლამაზი არ ყოფილა, ერთი ჩვეულებრივი ბურთი იყო, ისეთი თითქმის ყველგან რომ გადის. მიუხედავად ამისა ეს ბურთი მაინც აღნიშვნის ღირსია — გერერომ ესპანეთის ჩემპიონატების ისტორიის მანძილზე 50000-ე გოლი გაიტანა!

— ძალიან გამიხარდა თამაში რომ შევძელი. მსურდა ჩემპიონატის დასაწყისამდე ერთი თვით ადრე მაინც დავბრუნებოდი მინდორს, ახლა კი ბედნიერად ვგრძნობ თავს ნატვრა რომ ამიხდა. შევეცდები ნაკრებში დაკარგული პოზიციები აღვიდგინო — მადრიდის „ატლეტიკოს" ბრაზილიელი ნახევარმცველი ჟუნინიო სამი თვე ფეხის მოტეხილობის გამო ვერ თამაშობდა, ახლა კი ამდენი ხნის უთამაშებელს, დაბრუნება მაინც და მაინც შედეგიანი ვერ გამოუვიდა.

თუ მოხდა და დღეს მეორე მადრიდულმა კლუბმა „რეალმა" შინ თასთა თასის 1995 წლის მფლობელი „სარაგოსა" ვერ დაამარცხა, მათი პრეტენზიები მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაშზე ძალზედ შემცირდება. მეორე ადგილისთვის ერთბაშად ხუთი გუნდი იბრძვის.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 36 | 23 | 5 | 8 | 75:47 | 74 |
| ბილბაო | 36 | 16 | 13 | 7 | 51:42 | 61 |
| რეალი | 35 | 16 | 12 | 7 | 62:42 | 60 |
| სოსიედადი | 36 | 15 | 14 | 7 | 58:36 | 59 |
| მალიორკა | 36 | 16 | 11 | 9 | 54:37 | 59 |
| ბეტისი | 36 | 17 | 8 | 11 | 49:47 | 59 |
| სელტა | 36 | 16 | 9 | 11 | 51:44 | 57 |
| ატლეტიკო | 36 | 14 | 12 | 10 | 73:54 | 54 |
| ვალენსია | 36 | 16 | 6 | 14 | 54:47 | 54 |
| ესპანიოლი | 36 | 11 | 16 | 9 | 43:31 | 49 |
| ვალიადოლიდი | 36 | 13 | 9 | 14 | 36:47 | 48 |
| დეპორტივო | 36 | 11 | 13 | 12 | 39:40 | 46 |
| სარაგოსა | 35 | 11 | 11 | 13 | 43:52 | 44 |
| რასინგი | 36 | 11 | 9 | 16 | 44:54 | 42 |
| სალამანკა | 36 | 11 | 8 | 17 | 41:44 | 41 |
| ტენერიფე | 36 | 10 | 11 | 15 | 40:54 | 41 |
| კომპოსტელა | 36 | 9 | 11 | 16 | 49:64 | 38 |
| მერიდა | 36 | 9 | 11 | 16 | 33:51 | 38 |
| ოვიედო | 36 | 8 | 13 | 15 | 33:49 | 37 |
| სპორტინგი | 36 | 2 | 6 | 28 | 29:75 | 12 |

### მეორე დივიზიონი

მე-40 ტური. სერესი — ხაენი 0:3; ელჩე — ორენსე 2:2; ესტრემადურა — ლეიდა 3:0; ბადახოსი — ლას პალმასი 1:0; ლოგრონიესი — ვიბარი 1:1; ატლეტიკო — ტოლედო 2:1; ლეგანესი — ვილიარეალი 0:2; ალავესი — რაიო 3:0; ლევანტე — ერკულესი 0:0; ოსასუნა — ნუმანსია 0:1; სევილია — ალბასეტე გადაიდო

## სლოვენია

28-ე ტური. პუბლიკუმი — რუდარი 1:1; ოლიმპია — გორიცა 1:2; მურა — კოროტანი 2:0; მარიბორი — ველენიე 3:1; პრიმორიე — ვევჩე 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 28 | 18 | 2 | 8 | 44:24 | 56 |
| მურა | 28 | 16 | 7 | 5 | 53:32 | 55 |
| გორიცა | 28 | 15 | 4 | 9 | 51:28 | 49 |
| პრიმორიე | 28 | 14 | 4 | 10 | 49:38 | 46 |
| ოლიმპია | 28 | 12 | 9 | 7 | 47:38 | 45 |
| პუბლიკუმი | 28 | 10 | 7 | 11 | 46:44 | 37 |
| რუდარი | 28 | 9 | 9 | 10 | 31:28 | 36 |
| კოროტანი | 28 | 7 | 8 | 13 | 22:44 | 29 |
| ველენიე | 28 | 6 | 5 | 17 | 32:61 | 23 |
| ვევჩე | 28 | 3 | 5 | 20 | 25:63 | 14 |

## ჰოლანდია

**სიტარდი 4:1 ბრედა**
1:0 ჯეფრი (6), 2:0 ვლანკორი (9), 3:0 ჰამინგი (40), 3:1 ბოგდანოვიჩი (64), 4:1 ლანკორი (70)

**ნაიმეგენი 1:0 უტრეხტი**
1:0 ვან ვიკერენი (6)

**ტილბურგი 2:4 როდა**
1:0 ლოეფენი (3), 1:1 პიტერსი (16), 1:2 ლავალი (42), 2:2 შენინგი (46), 2:3 პიტერსი (73), 2:4 ტოუტანგი (83)

**ვოლენდამი 4:1 ჰერენვენი**
1:0 სტეური (21), 2:0 ბუგერსი (23), 2:1 სამარჯიჩი (49), 3:1 დე ვრისი (59), 4:1 ჯენტილე (83)

**ვალვაიკი 1:1 მაასტრიხტი**
1:0 შოპსი (44), 1:1 დე იონგი (56პ)

**გრააფსხაპი 1:8 აიაქსი**
0:1, 0:2 მაკარტი (16, 45), 0:3, 0:4 ლიტმანენი (54პ, 61), 0:5 ჰუქსტრა (66), 0:6 მაკარტი (78), 0:7 რ. დე ბური (81პ), 0:8 ვან დერ საარი (88პ), 1:8 ფუში (90პ)

**ეინდჰოვენი 6:2 გრონინგენი**
0:1 ბომბარდა (2), 1:1 ნილისი (10), 1:2 ჯ. კუმანი (13), 2:2 ზენდენი (55), 3:2 ნილისი (60), 4:2 ზენდენი (81), 5:2 მიოლერი (83), 6:2 დეგრიზი (88პ)

**სპარტა 1:1 ტვენტე**
1:0 დე ნოაიერი (30), 1:1 დე ვიტი (45)

**ვიტესი 2:1 ფეიენოორდი**
1:0 მახლასი (9), 2:0 პეროვიჩი (19), 2:1 კალუ (58)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 33 | 29 | 2 | 2 | 111:20 | 89 |
| ეინდჰოვენი | 33 | 21 | 9 | 3 | 95:41 | 72 |
| ვიტესი | 33 | 20 | 7 | 6 | 82:47 | 67 |
| ფეიენოორდი | 33 | 18 | 7 | 8 | 62:38 | 61 |
| ტილბურგი | 33 | 16 | 4 | 13 | 63:58 | 52 |
| ჰერენვენი | 32 | 14 | 7 | 11 | 52:57 | 49 |
| სიტარდი | 33 | 14 | 6 | 13 | 51:52 | 48 |
| სპარტა | 33 | 10 | 11 | 12 | 50:56 | 41 |
| ნაიმეგენი | 33 | 13 | 2 | 18 | 38:57 | 41 |
| ტვენტე | 33 | 10 | 10 | 13 | 38:42 | 40 |
| უტრეხტი | 32 | 12 | 4 | 16 | 54:62 | 40 |
| გრააფსხაპი | 33 | 10 | 9 | 14 | 43:48 | 39 |
| ბრედა | 33 | 11 | 6 | 16 | 37:48 | 39 |
| როდა | 33 | 10 | 8 | 15 | 43:43 | 38 |
| მაასტრიხტი | 33 | 9 | 5 | 19 | 34:72 | 32 |
| ვალვაიკი | 33 | 8 | 7 | 18 | 46:68 | 31 |
| გრონინგენი | 33 | 6 | 10 | 17 | 41:65 | 28 |
| ვოლენდამი | 33 | 5 | 6 | 22 | 32:98 | 21 |

## რუსეთი

მე-6 ტური. როტორი — დინამო 0:0; ტიუმენი — კრილია სოვეტოვი 0:3; ცსკა — ალანია 0:0; ტორპედო — ჟემჩუჟინა 0:1; სპარტაკი — ურალანი 1:0; შინიკი — ლოკომოტივი 0:1; როსტსელმაში — ბალტიკა 0:1; ჩერნომორეცი — ზენიტი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალანია | 6 | 4 | 2 | 0 | 9:3 | 14 |
| როტორი | 6 | 3 | 3 | 0 | 12:6 | 12 |
| ზენიტი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | 11 |
| როსტსელმაში | 6 | 2 | 3 | 1 | 9:5 | 9 |
| ბალტიკა | 6 | 2 | 3 | 1 | 5:5 | 9 |
| კრილია | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 8 |
| ჩერნომორეცი | 6 | 1 | 5 | 0 | 6:5 | 8 |
| ჟემჩუჟინა | 6 | 2 | 2 | 2 | 5:6 | 8 |
| ლოკომოტივი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:3 | 7 |
| სპარტაკი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| ურალანი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 |
| შინიკი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:10 | 5 |
| დინამო | 5 | 0 | 4 | 1 | 2:4 | 4 |
| ტიუმენი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:11 | 4 |
| ცსკა | 5 | 0 | 3 | 2 | 4:6 | 3 |
| ტორპედო | 6 | 0 | 3 | 3 | 3:6 | 3 |

## ალბანეთი

29-ე ტური: ტომორი — ტირანა 1:0, ფლამურტალი — ვილიში 2:1, დინამო — შკუმბინი 4:0, აპოლონია — სკენდერბუ 5:1, პარტიზანი — შკიპონია 3:0, ალბპეტროლი — სოპოტი 3:0, ელბასანი — ბესა 0:1, ლუშნია — ლაჩი 2:0, ვლაზნია — ტეუტა 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვლაზნია | 29 | 20 | 5 | 4 | 35:19 | 65 |
| ტირანა | 29 | 16 | 8 | 5 | 47:16 | 56 |
| პარტიზანი | 29 | 17 | 4 | 8 | 48:18 | 55 |
| ტეუტა | 29 | 15 | 2 | 12 | 34:31 | 47 |
| აპოლონია | 29 | 13 | 7 | 9 | 36:26 | 46 |
| შკუმბინი | 29 | 14 | 3 | 12 | 46:37 | 45 |
| ლაჩი | 29 | 14 | 3 | 12 | 39:31 | 45 |
| ტომორი | 29 | 13 | 2 | 14 | 31:39 | 41 |
| ელბასანი | 29 | 12 | 4 | 13 | 36:24 | 40 |
| ვილიში | 29 | 11 | 6 | 12 | 36:30 | 39 |
| ლუშნია | 29 | 11 | 5 | 13 | 43:34 | 38 |
| ფლამურტალი | 29 | 10 | 7 | 12 | 33:37 | 37 |
| სკენდერბუ | 29 | 10 | 6 | 13 | 30:42 | 36 |
| ბესა | 29 | 10 | 5 | 14 | 37:43 | 35 |
| დინამო | 29 | 9 | 8 | 12 | 28:30 | 35 |
| შკიპონია | 29 | 9 | 4 | 16 | 28:51 | 31 |
| სოპოტი | 29 | 8 | 5 | 16 | 30:54 | 29 |
| ალბპეტროლი | 29 | 5 | 4 | 20 | 20:75 | 19 |

## თურქეთი

კვირას „გალათასარაიმ" 4:1 გაანადგურა „ისთანბულსფორი" და ჩემპიონატის გასრულებამდე ერთი ტურით ადრე მეტოქეთათვის მიუღწეველი შეიქნა. დედაქალაქის „ფენერბაჩემ" რომელიც მთელი მეორე წრის განმავლობაში ფეხდაფეხ მისდევდა „გალათასარაის" და ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად ითვლებოდა, მხოლოდ ფრეს მიაღწია სტუმრად „საქერსპორთან" და მეტოქესთან ჩამორჩენა 4 ქულამდე გაზარდა. ახალგამომცხვარი ჩემპიონების გულშემატკივრებმა მატჩის შემდეგ სტამბოლის ცენტრალურ მოედანზე — ტაქსიმზე მოიყარეს თავი და არნახული ოვაციები მოუწყვეს საყვარელ გუნდს.

## პორტუგალია

32-ე ტური. სპორტინგი — რიუ ავე 2:2; ბრაგა — აკადემიკა 3:2; ფარენსე — სეტუბალი 2:0; შავეში — კამპომაიორენსე 1:0; გიმარაეში — ლეცა 0:0; ბოავიშტა — ამადორა 4:0; სალგეირუში — ვარზიმი 3:1; ბენფიკა — პორტუ 3:0; მარიტიმუ — ბელენენსეში 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 32 | 23 | 5 | 4 | 66:33 | 74 |
| ბენფიკა | 32 | 19 | 8 | 5 | 55:26 | 65 |
| გიმარაეში | 32 | 15 | 8 | 9 | 37:22 | 53 |
| სპორტინგი | 32 | 14 | 11 | 7 | 44:31 | 53 |
| ბოავიშტა | 32 | 14 | 10 | 8 | 50:29 | 52 |
| მარიტიმუ | 32 | 14 | 8 | 10 | 37:33 | 50 |
| ამადორა | 32 | 13 | 8 | 11 | 39:39 | 47 |
| სალგეირუში | 32 | 12 | 10 | 10 | 44:36 | 46 |
| რიუ ავე | 32 | 12 | 10 | 10 | 43:38 | 46 |
| ბრაგა | 32 | 9 | 12 | 11 | 42:49 | 39 |
| ლეცა | 32 | 10 | 8 | 14 | 28:42 | 38 |
| სეტუბალი | 32 | 10 | 7 | 15 | 36:39 | 37 |
| კამპომაიორ. | 32 | 10 | 7 | 15 | 49:54 | 37 |
| ფარენსე | 32 | 7 | 13 | 12 | 40:49 | 34 |
| აკადემიკა | 32 | 7 | 11 | 14 | 26:41 | 32 |
| შავეში | 32 | 9 | 4 | 19 | 29:54 | 31 |
| ვარზიმი | 32 | 6 | 11 | 15 | 26:46 | 29 |
| ბელენენსეში | 32 | 4 | 9 | 19 | 21:51 | 21 |

## ბელგია

33-ე ტური. ლომელი — ბრიუგე 1:1; აალსტი — ვესტერლო 2:3; ანდერლეხტი — ჰარელბეკი 1:0; ეკერენი — ბევერენი 1:1; შარლერუა — მოლენბეკი 1:1; მუსკრონი — ლიერსი 2:0; სტანდარდი — გენკი 3:0; სენტ ტრუიდენი — გენტი 3:3; ლოკერენი — ანტვერპენი 2:1

„ლოკერენის" „ანტვერპენთან" 2:1 გამარჯვებას სულ რაღაც 18 წუთი აკლდა. მასპინძლები ჩემპიონატის აუტსაიდერ სტუმრებს უპრობლემოდ ამარცხებდნენ, მაგრამ თასების თასის 1993 წლის ფინალისტის (ანტვერპენი) გაგულისებულმა ქომაგებმა საყვარელი გუნდის უსუსური თამაში ვეღარ მოითმინეს და მინდორზე შეიჭრნენ — პოლიციამ 150-მდე გულშემატკივარის შეჩერება ვერ შეძლო, ეგ კი არა, მატჩის შემდეგ როცა სიტუაცია მიწყნარდა, სამართალდამცავებმა ოფიციალურად განაცხადეს, თუ ასე გაგრძელდა, ფეხბურთელთა უსაფრთხოებას ვეღარ უზრუნველვყოფთო.

ეს ფაქტი ბელგიის საფეხბურთო კავშირში ოფიციალურად გაირჩევა, „ანტვერპენს" კი ალბათ თავზეხელაღებულ მხარდამჭერთა უსაქციელობის გამო 0:5 წაგებას ჩაუთვლიან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 33 | 25 | 6 | 2 | 72:29 | 81 |
| გენკი | 33 | 20 | 6 | 7 | 65:38 | 66 |
| ეკერენი | 33 | 17 | 7 | 9 | 58:45 | 58 |
| ანდერლეხტი | 33 | 15 | 9 | 9 | 52:37 | 54 |
| ჰარელბეკი | 33 | 14 | 10 | 9 | 48:31 | 52 |
| ლოკერენი | 33 | 16 | 4 | 13 | 64:64 | 52 |
| ლიერსი | 33 | 14 | 7 | 12 | 53:44 | 49 |
| გენტი | 33 | 10 | 14 | 9 | 47:43 | 44 |
| სტანდარდი | 33 | 11 | 10 | 12 | 52:46 | 43 |
| ლომელი | 33 | 10 | 10 | 13 | 45:49 | 40 |
| ვესტერლო | 33 | 9 | 13 | 11 | 50:55 | 40 |
| მუსკრონი | 33 | 10 | 8 | 15 | 37:44 | 38 |
| შარლერუა | 33 | 9 | 11 | 13 | 45:56 | 38 |
| სტ. ტრუიდენი | 33 | 8 | 13 | 12 | 32:39 | 37 |
| აალსტი | 33 | 9 | 9 | 15 | 50:64 | 36 |
| ბევერენი | 33 | 7 | 11 | 15 | 30:47 | 32 |
| მოლენბეკი | 33 | 7 | 7 | 19 | 34:73 | 28 |
| ანტვერპენი | 33 | 5 | 7 | 21 | 36:66 | 22 |

## შვეიცარია

მე-11 ტური. არაუ — სიონი 1:2; სენტ გალენი — გრასჰოპერი 1:2; სერვეტი — ლუცერნი 1:1; ციურიხი — ლოზანა 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 11 | 8 | 1 | 2 | 30:13 | 48 |
| სერვეტი | 11 | 5 | 6 | 0 | 15:7 | 41 |
| ციურიხი | 11 | 5 | 5 | 1 | 20:12 | 35 |
| ლოზანა | 11 | 2 | 4 | 5 | 8:15 | 31 |
| სიონი | 11 | 4 | 3 | 4 | 17:18 | 30 |
| სენტ გალენი | 11 | 3 | 4 | 4 | 9:13 | 28 |
| არაუ | 11 | 1 | 3 | 7 | 12:20 | 24 |
| ლუცერნი | 11 | 1 | 4 | 6 | 10:23 | 22 |

დარჩა
FRANCE 98
37 დღე

## ფუტიქსის დროშით
## აზარტული მინისტრები

*როგორც აღმოჩნდა, ევროპის ცენტრალური ბანკის წარმომადგენლებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და მათაც რიგითი გულშემატკივრების დარად აინტერესებთ ფეხბურთი. ევროპულ ფინანსთა მამები მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატის ციებ-ცხელებას შეუპყრია და ერთმანეთში მაგარი ნიძლავებიც დაუდიათ — არა ჩემი რჩეული იმარჯვებს და არა ჩემიო. საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი დომინიკ სტრაუსკანის თქმით, თერთმეტმა მინისტრმა ფინალში გერმანიის ნაკრები გაიყვანა, ხოლო რვა მათგანი ამტკიცებს, გადამწყვეტ მატჩში ფოგთსის ბიჭებს ბრაზილიელები დაუპირისპირდებიანო. იტალიის ნაკრების ფინალში გასვლას შვიდმა ბობოლა ფინანსისტმა დაუჭირა მხარი.

თუ ჰოლანდიელი მინისტრის, გერიტ ზალმის სიტყვებს დავუჯერებთ, 12 ივლისს ჩემპიონის ვინაობა საფრანგეთი — ჰოლანდიის მატჩში გაირკვევა.

ზემოთ ნახსენებმა ფრანგმა და გერმანელმა თეო ვაიგელმა კი ფინალში ერთმანეთის ნაკრებები შეახვედრეს ერთმანეთს. სხვათა შორის, მათი აზრი ლუქსემბურგის მინისტრმა ჟან-კლოდ იანკერმაც გაიზიარა.

ბრიტანელმა გორდონ ბრაუნმა, ბერძენმა იანოს პაპანგონიუმ, შვედმა ერიკ ასბრინკმა, პორტუგალიელმა ანტონიო დე სოუსა ფრანკომ და ევროპელმა კომისიონერმა ივ ტიბალტ დე სილგუიმ ერთხმად ბრაზილია — გერმანიის ფინალს დაუჭირეს მხარი.

იტალიის ფინანსთა მინისტრმა აძელიო კიამპიმ, რა თქმა უნდა, თავის გუნდს მიაკუთვნა პრიორიტეტი და ივლისში გერმანელებთან თამაში უწინასწარმეტყველა, ხოლო ბელგიელი ფილიპ მაისტადტი, ესპანელი როდრიგო დე რატო და ავტსრიელი რუდოლფ ედლინგერსი თვლიან, რომ საფრანგეთში წინა ჩემპიონატის ფინალი განმეორდება.

ფინელი და დანიელი მინისტრები იტალიელი კოლეგის მოსაზრებას უჭერენ მხარს, ხოლო ირლანდიელმა ჩარლი მაკ კრეევმა თქვა, გული მიგრძნობს, ორი რჩეული ინგლისი და იტალია იქნებიანო.

მხოლოდ ლუქსემბურგის ეკონომიკის მინისტრი გამოდგა ორიგინალური — მან ფინალში შოტლანდია და კამერუნი გაიყვანა.

რას იზამ, ყველას აქვს უფლება, საკუთარი (თუნდაც არალოგიკური) აზრი გააჩნდეს.

# ფაშანუს აღსასრული

37 წლის ყოფილი ფეხბურთელი ჯასტინ ფაშანუ შაბათს შუადღისას აღმოსავლეთ ლონდონის უბანში, ღიად დატოვებულ მანქანის ფარეხში გარდაცვლილი იპოვეს. მეტროპოლიტენის პოლიციის ოფიციალური ვერსიით, ფაშანუმ თავი ჩამოიხრჩო. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა განცხადებით, მათ სწორედ თვითმკვლელობასთან აქვთ საქმე და შემთხვევის ადგილის დეტალური შესწავლის შემდეგ სხვა ვერსია ნაკლებ დასაშვებად მიაჩნიათ. პოლიციელთა მოსაზრებას ზურგს ისიც უმაგრებს, რომ ფაშანუ 17 წლის ბიჭთან სექსუალური კავშირის ძალით დამყარებისათვის თვეზე მეტია იძებნებოდა აშშ-ს ძალოვანი სტრუქტურების მიერ.

ჯასტინ ფაშანუ ინგლისის ნაკრების ყოფილი წევრისა და „უიმბლდონის" ვარსკვლავის ჯონ ფაშანუს უფროსი ძმაა. 80-იან წლებში იგი იმ დროისთვის ბრიტანეთის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდ „ნოტინგემ ფორესტის" ღირსებას იცავდა და სანამ მუხლის ტრავმის გამო კარიერას დასრულებდა, კიდევ რამდენიმე კლუბში მოასწრო თამაში. ფეხბურთელობისას ფაშანუ ბევრს მოგზაურობდა და ინგლისის გარდა შოტლანდიის, კანადის, ახალ ზელანდიისა და ლოს ანჯელესის კლუბებშიც გამოდიოდა. ამ წლის დასაწყისში კი იგი ახლადშექმნილი მერილენდის საფეხბურთო გუნდის მწვრთნელად მიიწვიეს.

საფეხბურთო სამყაროში ფაშანუ მისი უმცროსი ძმის კარგი თამაშის გამო ყოველთვის დაჩრდილული იყო. თუმცა, პირად ცხოვრებაში არც ერთს არ აკლდა უსიამოვნო თავგადასავლები.

1994 წლის თებერვალში ჯასტინი გაზეთ „სანდი"-ში მიცემული ინტერვიუსათვის შოტლანდიური „ჰართსიდან" გააგდეს. მაგრამ როგორც კლუბის ხელმძღვანელებმა გნაცხადეს, ფეხბურთელის გაძევების მიზეზი რეჟიმის დარღვევა ყოფილა და არა მის პირად ცხოვრებაში შექმნილი რაიმე უსიამოვნება.

ჯონ ფაშანუს კი, შეგახსენებთ, რომ დიდი პრობლემები ჰქონდა მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებით. შარშან ინგლისის სასამართლომ ჯონის, ჰანს სეგერსისა და ცნობილი ზიმბაბველი გოლკიპერის, ბრუს გლობელაარის საქმე განიხილა, რომელიც ფეხბურთელთა გამარჯვებით დასრულდა.

ძმები ნიგერიელმა მამამ ადრეულ ასაკში დატოვა, ხოლო დედა იძულებული იყო, შვილები უპატრონო ბავშვთა სახლში ჩაებარებინა. სადაც ისინი ღვთისნიერმა ინგლისელმა ცოლ-ქმარმა იშვილეს.

პოლიციის განცხადებით, ყოფილი ფეხბურთელის სიკვდილს შემდეგი ისტორია დაედო საფუძვლად: ამ წლის 24 მარტს ფაშანუ მერილენდში, საკუთარ ბინაში, ხუთ მეგობართან ერთად ლუდს მიირთმევდა და მარიხუანას ეწეოდა. მეგობართაგან ერთ-ერთი ქალაქ კოლუმბიის საშუალო სკოლიდან გარიცხული 17 წლის ბიჭი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ სწორედ ეს ახალგაზრდა მივიდა პოლიციაში და განაცხადა, ფაშანუმ შეურაცხყოფა მომაყენაო. როგორც ბიჭის სიტყვებიდან ჩანს, ნარკოტიკისა და სასმელისგან გაბრუებულს მისალებ ოთახში სავარძელში ჩასძინებია. მეორე დილას კი თურმე ჯასტინის ლოგინში გამოეღვიძა. ამ საქმის გამო ფაშანუ მეორე დღესვე დაუკითხავთ, თუმცა ორდერი მის დაპატიმრებაზე ძალიან გვიან, მხოლოდ 3 აპრილს გაიცა. სწორედ პოლიციის დაყოვნებით ისარგებლა ბრალდებულმა და თვალსა და ხელს შუა გაქრა.

მერილენდის სამართალდამცავები მიხვდნენ თავიანთ შეცდომას, მაგრამ პანიკაში არ ჩაცვივდნენ და წყნარად განაგრძეს ფაშანუს ძებნა. მათ იცოდნენ, რომ ჯასტინი ამერიკას დატოვებდა და ამიტომ საქმეში ფედერალური და საერთაშორისო სამსახურები ჩართეს. ფეხბურთელის ამბავი მალე გახმაურდა, გაზეთები მის სავარაუდო სასჯელსაც კი აქვეყნებდნენ — რამდენიმე მუხლით წაყენებული ბრალდებები ჯამში 20 წელს იძლეოდა...

**ირაკლი ხმელიძე**

## შოტლანდია

35-ე ტური. აბერდინი — ჰართსი 2:2; ჰიბერნიანი — დანდი იუნაიტედი 1:2; რეინჯერსი — კილმარნოკი 0:1; სენტ ჯონსტონი — მოზერველი 3:2; დანფერმლაინი — სელტიკი 1:1;

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 35 | 21 | 8 | 6 | 62:24 | 71 |
| რეინჯერსი | 35 | 20 | 9 | 6 | 74:37 | 69 |
| ჰართსი | 35 | 18 | 10 | 7 | 68:46 | 64 |
| კილმარნოკი | 35 | 13 | 10 | 12 | 39:51 | 49 |
| სტ ჯონსტონი | 35 | 13 | 9 | 13 | 38:40 | 48 |
| დანდი იუნ. | 35 | 8 | 13 | 14 | 42:49 | 37 |
| დანფერმლაინი | 35 | 8 | 13 | 14 | 43:66 | 37 |
| აბერდინი | 35 | 8 | 12 | 15 | 37:52 | 36 |
| მოზერველი | 35 | 9 | 7 | 19 | 45:62 | 34 |
| ჰიბერნიანი | 35 | 6 | 11 | 18 | 37:58 | 29 |

## ავსტრია

33 ტური. ტიროლი — ლუსტენაუ 1:1; ლინცი — შტურმი 4:0; გრაცი — ზალცბურგი 0:2; რაპიდი — აუსტრია 0:0; ადმირა ვაკერი — რიდი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 33 | 23 | 8 | 2 | 78:27 | 77 |
| გრაცი | 33 | 16 | 6 | 11 | 49:31 | 54 |
| რაპიდი | 33 | 15 | 8 | 10 | 35:35 | 53 |
| ლინცი | 33 | 16 | 4 | 13 | 62:47 | 52 |
| ზალცბურგი | 33 | 13 | 8 | 12 | 41:32 | 47 |
| ტიროლი | 33 | 11 | 12 | 10 | 45:45 | 45 |
| აუსტრია | 33 | 10 | 9 | 14 | 37:50 | 39 |
| რიდი | 33 | 9 | 9 | 15 | 35:50 | 36 |
| ლუსტენაუ | 33 | 5 | 14 | 14 | 31:51 | 29 |
| ადმირა ვაკერი | 33 | 5 | 6 | 22 | 33:78 | 21 |

მსოფლიოს ჩემპიონატი

# ფავორიტები ფხიზლობენ

შვეიცარიულ ციურიხსა და ბაზელში დაიწყო ჰოკეისტთა მსოფლიოს 62-ე ჩემპიონატი. გათამაშების ფორმულა ტურნირის გრანდებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს და ფავორიტებიც პირველი დღიდანვე სერიოზულად მოეკიდნენ საქმეს. სენსაციაც არ მომხდარა.

### A ჯგუფი

1 მაისი

**ჩეხეთი — იაპონია 8:2**

(2:0, 3:0, 3:2)

**შაიბები:** ბელოპლავი (1:0), ბელოპლავი (2:0), ლუბინა (3:0), დოპიტა (4:0), პატერა (5:0), კუვაბარა (5:1), მორშვეცი (6:1), პატერა (7:1), იაპატა (7:2), ფ. კუჩერა (8:2)

ჩეხებს 8 ოლიმპიური ჩემპიონი კი ჰყავდათ, მაგრამ ნჰლ-ელები ჯერ არ დამატებიათ, თუმცა ამას მათთვის პრობლემა არ შეუქმნია სუსტ აზიურ გუნდთან შეხვედრაში. გამარჯვებულთაგან საუკეთესო რადეკ ბელოპლავი იყო, რომელმაც ორ შეგდებულ შაიბას ერთი პასიც დაამატა.

**ბელარუსი — გერმანია 4:2**

(1:0, 1:2, 2:0)

**შაიბები:** სალეი (1:0), ჰეგენი (1:1), ჰეგენი (1:2), მატუშკინი (2:2), რომანოვი (3:2), ანდრიევსკი (4:2)

ეს პირველი დღის ყველაზე დაძაბული მატჩი იყო. ოლიმპიადაზე სირცხვილნაჭამ გერმანელებს (ბელარუსებმა 8:2 მოუგეს), რომელთა რიგებშიც 9 დებიუტანტი თამაშობდა, ცხადია, რევანში სწყუროდათ. თანაც სწორედ ამ გუნდების ბრძოლაში გადაწყდება ფინალური ეტაპის A ჯგუფელი მეორე მონაწილის ვინაობა. მეორე პერიოდის დასაწყისში შედარებით ათლეტურმა გერმანელებმა თითქოს შეძლეს მეტოქის დაჩაგვრა. მათმა ვეტერანმა მოთამაშემ დიტერ ჰეგენმა, რომელიც ხუთი ოლიმპიადის მონაწილეა, ორი გოლი შეაგდო, აქედან ერთი ბულიტით და თავისიანები წინ გაიყვანა. მაგრამ დღეისათვის ბელარუსები გაცილებით ოსტატურად თამაშობენ, რაც ერთხელ კიდევ დაამტკიცეს ამ შეხვედრაში. მატჩის ბედი მე-60 წუთზე გაირკვა, როცა ბელარუსთა კაპიტანმა ანდრიევსკიმ პარტნიორთა ლამაზად წამოწყებული კომბინაცია წარმატებით დააგვირგვინა.

3 მაისი

**ჩეხეთი — ბელარუსი 4:2**

(1:0, 1:1, 2:1)

**შაიბები:** პროჰასკა (1:0), ბეკბულატოვი (1:1), ლუბინა (2:1), ვიბორნი (3:1), კალუჟნი (3:2), პროჰასკა (4:2)

**გერმანია — იაპონია 5:1**

(0:1, 3:0, 2:0)

**შაიბები:** საკაი (0:1), რუმრიხი (1:1), ჰეგენი (2:1), დრაისაიტლი (3:1), ჰეხტი (4:1), მაკეი (5:1)

### B ჯგუფი

1 მაისი

**კანადა — ავსტრია 5:1**

(2:0, 0:0, 3:1)

**შაიბები:** პრიმო (1:0), უიტნი (2:0), დაზე (3:0), მერფი (4:0), უილდონი (4:1), მაკეიბი (5:1)

შვეიცარიის ყინული პირველად შარშანდელმა ჩემპიონებმა, კანადელებმა გამოსცადეს. მათ თავიდანვე სცადეს გამოუცდელი მეტოქის დაჩაგვრა, მაგრამ ავსტრიელთა მეკარე რაინჰარტ დივისის კარგი თამაშის წყალობით და კიდევ იმის გამო, რომ კანადელები ზედმეტად უხეშობდნენ, ორი პერიოდის შემდეგ ფავორიტთა უპირატესობა სულ ორი გოლით განისაზღვრებოდა. მატჩის ბედი მხოლოდ მესამე პერიოდის დასაწყისში, დაზეს და მერფის გოლების შემდეგ გადაწყდა.

**სლოვაკეთი — იტალია 2:1**

(2:1, 0:0, 0:0)

**შაიბები:** ჩიტარონი (0:1), დანო (1:1), იანოში (2:1)

3 მაისი

**კანადა — სლოვაკეთი 2:2**

(0:0, 1:0, 1:2)

**შაიბები:** ბლეიკი (1:0), შვეჰლა (1:1), პრიმო (2:1), დანო (2:2)

**იტალია — ავსტრია 5:1**

(0:0, 2:0, 3:1)

**შაიბები:** ორლანდო (1:0), ტოპატიჯი (2:0), მანსი (3:0), იობი (4:0), კალტი (4:1), ტოპატიჯი (5:1)

### C ჯგუფი

2 მაისი

**შვედეთი — საფრანგეთი 6:1**

(4:0, 1:1, 1:0)

**შაიბები:** მოდინი (1:0), ფალკი (2:0), ბერგკვისტი (3:0), იუნსონი (4:0), ოლუნდი (5:0), სოლო (5:1), მოდინი (6:1)

მე-6 წუთზე ანგარიში უკვე 4:0 იყო. ოთხივე გოლი სკანდინაველებმა წუთსა და 44 წამში გაიტანეს. ამის შემდეგ ბრძოლამ ფორმალური ხასიათი მიიღო. გამარჯვებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ნჰლ-ელებმაც შეიტანეს — ტორონტოელმა ფრედრიკ მოდინმა (2 გოლი) და ვანკუვერელმა მატიას ოლუნდმა.

**აშშ — შვეიცარია 5:2**

(2:0, 2:0, 1:2)

**შაიბები:** სმოლინსკი (1:0), ჰენდრიქსონი (2:0), სმოლინსკი (3:0), ჩორსკი (4:0), შტაინეგერი (4:1), კროული (5:1), ზეგერი (5:2)

მიუხედავად იმისა, რომ აშშ არც ისე ძლიერი შემადგენლობით გამოდის ტურნირზე, მათ ჩემპიონატის მასპინძლების ძლევა არ გასჭირვებიათ. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მათი ლიდერები — სმოლინსკი და ჩორსკი. ერთადერთი, რაშიც შვეიცარიელები მეტოქეს არ ჩამორჩნენ, ეს გაუთავებელი გაწევ-გამოწევა იყო. ამიტომაც მეტოქეებმა 96 საჯარიმო წუთი მიიღეს.

### D ჯგუფი

**რუსეთი — ყაზახეთი 8:4**

(2:1, 5:1, 1:2)

**შაიბები:** პჩელიაკოვი (0:1), კუდაშოვი (1:1), ბელოვი (2:1), კოვალიოვი (3:1), ჩუპინი (4:1), პეტროვი (5:1), კოზლოვი (6:1), ბერეზინი (7:1), გლოვაცკი (7:2), კამენცევი (7:3), ბერეზინი (8:3), პჩელიაკოვი (8:4)

ყაზახებს ოლიმპიადაზე ურიგოდ არ უთამაშიათ და ამიტომ ამ მატჩში ყველა სერიოზულ ბრძოლას მოელოდა, მაგრამ აზიელებმა მხოლოდ პირველ მესამედში შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა. მე-19 წუთზე 0:1-ს ყაზახები იგებდნენ, მაგრამ მერე რუსებმა ტემპს უმატეს და რაღაც ხუთ წუთში (პირველი და მეორე პერიოდების მიჯნაზე) 4 შაიბით უპასუხეს. ამის შემდეგ ისინი ძალიან აქტიურობდნენ და ტორონტოელმა ბერეზინმა ორი ლამაზი გოლიც გაიტანა.

**ფინეთი — ლატვია 6:0**

(1:0, 5:0, 0:0)

**შაიბები:** კარალაჰტი (1:0), ოკინენი (2:0), ტიგონენი (3:0), ელორანტა (4:0), პელტონენი (5:0), ტერმანენი (6:0)

აქაც გაცილებით მეტი დაძაბულობა იყო მოსალოდნელი, მაგრამ ლატვიამ, რომელმაც შარშანდელ ჩემპიონატში ბევრი სიურპრიზი შემოგვთავაზა, ამჯერად უნიათოდ ითამაშა. ლატვიელებმა გაუთავებელი ჯარიმებით საქმე ძალიან გაირთულეს, მათ ვანკუვერის გოლკიპერმა არტურ ირბემაც ვერ უშველათ.

## კანადას გზაში დააწყვეს

კანადის ნაკრებმა მხოლოდ 18 ჰოკეისტით დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი, დანარჩენი ხუთი ადგილი კი ვაკანტურად შემოინახა სტენლის თასის პირველი რაუნდის დამთავრებამდე. გუნდის გენერალური მენეჯერის პეტ ქუინის ამ გადაწყვეტილებას ბევრი არაფერი შეუცვლია, „ნეკერჩხლის ფოთლები“ ისედაც საკმაოდ ღონივრად გამოიყურებიან. კანადელებში მხოლოდ ერთ არანჰლ-ელს, მეკარე კრისტიან ბრონსარს მოეძებნა ადგილი. ნაკრების ღირსებას აგრეთვე იცავენ:

მეკარეები: ფელიქს პოტვენი (ტორონტო) და ჯეფ ჰეკეტი (ჩიკაგო)

მცველები: კრიი კროსი (ტამპა), ედ ჟოვანოვსკი, გორდ მერფი (ორივე — ფლორიდა), ბრაიან მაკეიბი (ვანკუვერი) და ჯეიმს პატრიკი (კალგარი)

თავდამსხმელები: ტრევის გრინი, სტივ რუჩინი (ორივე — ანაჰაიმი), ტოდ ბერტუცი (ვანკუვერი), ერიკ დაზე (ჩიკაგო), ტრევორ ლინდენი (აილენდერსი), რობ ზამუნერი (ტამპა), კეიტ პრიმო, მარტინ ჟელინა, ნელსონ ემერსონი (სამივე — კაროლინა) და რეი უიტნი (ფლორიდა). შეგახსენებთ, რომ პრიმო, ზამუნერი და ლინდენი ნაგანოს ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ, მაკეიბი და გრინი კი შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონები არიან.

გუშინ კი კანადელებს ორი ლოსანჯელესელი, მცველი რობ ბლეიკი და თავდამსხმელი გლენ მიურეი შეემატათ.

## აშშ: ცნობილი ხულიგანი და ბევრი უცნობი

კანადელთაგან განსხვავებით, აშშ-ის ნაკრები არცთუ ძლიერად გამოიყურება. ამერიკელებმა მხოლოდ 11 ნჰლ-ელი შეკრიბეს, რომელთა უმეტესობაც, ფაქტობრივად, უცნობია ჰოკეის ქომაგთათვის. გუნდში მხოლოდ ბრაიან სმოლინსკის, ტომ ჩორსკისა და ერიკ უეინრიჩს თუ გამოარჩევთ. უხეშობით ცნობილი დონალდ ბრაშირი კი (372 წუთით ნჰლ-ის ყველაზე უდისციპლინო ჰოკეისტი გახდა) საკმაო პრობლემებს შეუქმნის მეტოქეებს.

აქვე გაცნობებთ დანარჩენ ნჰლ-ელთა ვინაობასაც: მეკარე გარტ სნოუ (ვანკუვერი); მცველი ადამ ბერტი (კაროლინა); თავდამსხმელები — ბეიტს ბატალია (კაროლინა), მეტ კალენი, ტედ დრური (ორივე — ანაჰაიმი), დარბი ჰენდრი (ტორონტო), კევინ მილერი (ჩიკაგო).

დანარჩენი ათი ადგილი ევროპასა და ჩრდილოამერიკის ქვედა ლიგებში მოასპარეზე ჰოკეისტებმა დაიკავეს.

პლეი ოფი. პირველი წრე

# დაკოდილი დათვის ამბავი

### აღმოსავლეთი

1 მაისი

**ვაშინგტონი 3 ბოსტონი 2**

**ვაშინგტონი — ბოსტონი 0:4**

(0:0, 0:3, 0:1)

**შაიბები:** სამსონოვი 1 (0:1), ელისონი 2 (0:2), დიმაიო 1 (0:3), ბურკი 1 (0:4)

გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა ბოსტონმა სერიაში საუკეთესოდ ითამაშა. მათმა მეკარე ბაირონ დაფომ 26-ივე დარტყმა მოიგერია, ხოლო „დათვების“ წამყვანი ტრიო სამსონოვი — ელისონი — ხრისტიჩი კვლავ შეუჩერებელი იყო. მატჩის გმირი დაფო აღტაცებას ვერ ფარავდა: „მეტოქემ კედელთან მიგვაყენა, მაგრამ საკადრისი პასუხი გავეცით.“ ვაშინგტონი კი ბოლო 10 წელიწადში სერიაში სამჯერ ლიდერობდა 3:1-ით, მერე კი აგებდა და ასპარეზობას ეთიშებოდა.

**პიტსბურგი 2 მონრეალი 3**

**პიტსბურგი — მონრეალი 2:5**

(0:0, 0:2, 2:3)

**შაიბები:** ბრისბუა 1 (0:1), კორსონი 3 (0:2), რექი 1 (0:3), სტრაკა 1 (1:3), იაგრი 2 (2:3), დამფუსი 2 (2:4), რექი 2 (2:5)

კანადელებმა ერთხელაც დაადასტურეს, რომ წლეულს სტუმრად უკეთესად თამაშობენ. ისინი მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას. მხოლოდ ერთხელ, მესამე პერიოდის შუაგულში გახდა საეჭვო მატჩის ბედი, როცა ჩეხმა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა სტრაკამ და იაგრმა მინიმუმამდე შეამცირეს ანგარიში. თანაც მთავარი „პინგვინისთვის“ ეს საიუბილეო, 50-ე გოლი იყო.

**ფილადელფია 1 ბუფალო 4**

**ფილადელფია — ბუფალო 2:3**

**შაიბები:** ვული 1 (0:1), სილინჯერი 1 (1:1), ოდეტი 2 (1:2), ბაბიჩი 1 (2:2), გროშეკი 4 (2:3)

ახალგაზრდა ჩეხი გროშეკი ფილადელფიელებს დიდხანს ეხსომებათ — სწორედ მისმა ოვერტაიმში გატანილმა შაიბამ მოუღო ბოლო მფრინავთა იმედებს და წლევანდელი გათამაშების პირველი სენსაციაც მოხდა.

„ეს უმნიშვნელოვანესი გოლია ჩემს კარიერაში“ — თქვა გახარებულმა გროშეკმა მატჩის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ფორვარდს პლეი ოფში სულ შვიდი გოლი აქვს გატანილი და შვიდჯერვე მისი მსხვერპლი ფილადელფია გახდა.

სერიის მთავარი გმირია „დომინატორი“ ჰაშეკი, რომელმაც კარიერაში პირველად მოიგო სათასო სერია. ჩეხი მეკარის არყოფნისას შარშან მეოთხედფინალში „მფრინავებთან“ მარცხის შემდეგ ბუფალომ რევანში აიღო, ხოლო ჰაშეკმა, მისივე თქმით, სეზონში მეორედ (იგულისხმება ოლიმპიადაც) მოუგო ერიკ ლინდროსს.

2 მაისი

**ოტავა 4 ნიუ ჯერსი 2**

**ოტავა — ნიუ ჯერსი 3:1**

(1:0, 1:1, 1:0)

**შაიბები:** იაშინი 3 (1:0), დინი 1 (1:1), ლაუკანენი 2 (2:1), კრავჩუკი 2 (3:1)

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ნიუ ჯერსიმ, რომელიც უპირველეს ფავორიტად მიიჩნეოდა, პირველივე რაუნდში სირცხვილი ჭამა — ოტაველი „სენატორების“ მსხვერპლი გახდა.

დაცვითი სისტემების უცნობილესი გამომგონებლის, ნიუ ჯერსის მწვრთნელის



ნიუჯერსელებს სახელოვანმა მეკარემ მარტინ ბროდომაც ვერ უშველა

ჟაკ ლემერის გუნდმა ვერაფერი იღონა „სენატორთა“ ერთი შეხედვით პრიმიტიული, მაგრამ ერთობ რაციონალური თამაშის წინააღმდეგ. ოტაველთა იარაღი დაცვაში საიმედო თამაში და სწრაფი კონტრშეტევები იყო, ეშმაკებს კი შემტევი მხარის როლიღა შერჩათ. საუცხოოდ ითამაშა ოტაველთა მეკარემ დამიენ როუდსმა, რომელმაც ტოლი არ დაუდო სახელოვან მარტინ ბროდოს. დიდი მონდომება და ბრძოლის ჟინი გამოამჟღავნეს იაშინმა, ალფრედსონმა და ლაუკანენმა. ასე რომ, კრავჩუკის მიერ ბოლო წამებზე ცარიელ კარში შეგდებულმა შაიბამ მხოლოდ ოფიციალურად გააფორმა ის უპირატესობა, რომელსაც ოტავა პირველივე თამაშიდან ფლობდა.

### დასავლეთი

**სან ხოსე 2 დალასი 4**

**სან ხოსე — დალასი 2:3**

დალასში გამართული პირველი ორი თამაშის შემდეგ თითქოს ყველაფერი სწრაფად უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ კალიფორნიელი „ზვიგენები“ დათმობას არ აპირებდნენ და „ვარსკვლავებს“ ძალიან გაუძნელდათ მოგება — უკანასკნელ, მეექვსე თამაშში გამარჯვებას მხოლოდ ოვერტაიმში მიაღწიეს.

**ედმონტონი 3 კოლორადო 3**

**ედმონტონი — კოლორადო 2:0**

კოლორადოელები ალბათ არ მოელოდნენ ასეთ წინააღმდეგობას, დუელი ერთობ გაუგრძელდათ. „ევლანშის“ შემტევები და მათი ლიდერი ფორსბერგი ედმონტონელ გოლკიპერ კერტის ჯოზეფს ჯერჯერობით ვერაფერს უხერხებენ. ასე რომ, ყველაფერი ბოლო, მეშვიდე მატჩში გადაწყდება, რომელიც კოლორადოს მოედანზე გაიმართება.

**სამველ ლარიბიანი**

## მწვრთნელი ხომ მეისრეა

მოსალოდნელი იყო და, ბოლო 29 წლის მანძილზე ჩიკაგოს ყველაზე უსუსურ გამოსვლას გუნდის მესვეურთაგან დამნაშავის ძიება მოჰყვა. პირველად „ქორების“ მეპატრონეთა რისხვა მწვრთნელ კრეიგ ჰარტსბურგს დაატყდა თავს და იგი უკვე გაათავისუფლეს კიდეც. თუმცა, კლუბის გენერალური მენეჯერის ბობ მიურეის თქმით, მარტო იგი როდია დამნაშავე ეტყობა, სხვათა დასჯაც გადაუწყვეტიათ.



სანმარინოს პრიზზე „მაკლარენმა“ და „ფერარიმ“ 10-10 ქულა შემატეს, თუმც კი იტალიურ გუნდს ამ წარმატების მიღწევაში ჰაკინენის ასპარეზობიდან გამოთიშვამ შეუწყო ხელი.

## ფერარის რაღაც აკლია



დევიდ კულჰარდი და რონ დენისი

კვალიფიკაციის შემდეგ პოულის მფლობელი კულჰარდი აღტაცებული იყო შედეგით. მიკა ჰაკინენი კი პოულის დაკარგვას იმით ხსნიდა, რომ ბოლო მონაკვეთზე მისი საბურავები კარგად ვერ ეჭიდებოდა გზის საფარს და ამის გამო წამის რამდენიმე მეათედი დაკარგა.

მაკლარენელების ძირითადი მეტოქე შუმახერი კი კვალიფიკაციის წინ იმედოვნებდა, ისე, როგორც არგენტინაში, იმოლაშიც შეძლებდა „მაკლარენის“ წყვილის „გახლეჩვას“, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, თუმც კი ჩამორჩენა არც ისეთი დიდი იყო, რაც რბოლაში წარმატების იმედს უტოვებდა. მისი აზრით, მეტოქეთა საბურავები იმოლაში უკეთ მუშაობდა, ვიდრე ბუენოსაირესში.

რბოლა „ფერარის“ ორივე პილოტმა პოდიუმზე დაასრულა. შუმი კმაყოფილი დარჩა მეორე ადგილით: „რბოლის ბოლოს სიჩქარეს ვუმატე და ფინიშამდე არც მომიკლია. არავითარი მიზეზი არა გვაქვს, შემდეგ რბოლებშიც პოდიუმზე არ ავიდეთ. წესით, რბოლა მესამე ადგილზე უნდა დამესრულებინა, მაგრამ გამიმართლა — ერთი „მაკლარენი“ რბოლას გამოეთიშა“.

კმაყოფილია „ფერარის“ ტექნიკური დირექტორი ჟან ტოდტიც: „ტიფოზების თვალწინ ორივე პილოტის პოდიუმზე ასვლა შესანიშნავია, მაგრამ ჩვენ მოგება გვსურს. მიხაელმა შესანიშნავად ირბოლა, ირვინმაც კარგად იმუშავა — ვილნევი ჩამოიტოვა, მაგრამ ჩვენ კიდევ უნდა გავაუმჯობესოთ მანქანა, რადგან ჯერ კიდევ გვაკლია ის რაღაც, რაც მწვერვალზე აგვიყვანს“.

გამარჯვებულმა დევიდ კულჰარდმა კი ასე შეაფასა იმოლას რბოლა: „პოულიდან რბოლის მოგებამ ძალიან გამახარა. დიდი მადლობა ეკუთვნით ჩემგან გუნდსა და მექანიკოსებს კარგი საქმიანობისთვის. მეორე პიტ-სტოპის შემდეგ ვიცოდი, რომ მიხაელი საკმაოდ ჩამომრჩებოდა და შემეძლო მანქანა დამეზოგა. ცუდია, რომ ჰაკინენმა ვერ შეძლო ამ რბოლაში ქულის მოპოვება, ეს რომ მოგვეხერხებინა, კიდევ უფრო დავწინაურდებოდით გუნდურ პირველობაში“.

ჰაკინენის რბოლიდან გამოთიშვით შეწუხებულმა „მაკლარენის“ შეფმა რონ დენისმა ჟურნალისტებს განუცხადა: „რბოლა ისე არ წარიმართა, როგორც გვსურდა. კულჰარდი შესანიშნავი იყო, ფინიშის მოახლოვებისას კი ბოქსებიდან მითითებებს დაემორჩილა და ოდნავ შენელდა. ამ დროს მისი მანქანის ზეთის გამაციებელში რაღაც მოხვდა, რამაც ზეთი გააცხელა და იძულებული გავხდით, დევიდის უპირატესობა მანქანის დასაზოგად გამოგვეყენებინა. ჰაკინენი კი რბოლას გადაცემათა კოლოფის მოშლის გამო გამოეთიშა. რა იყო ამის მიზეზი, კოლოფის დაშლის შემდეგ შევიტყობთ“.

„მაკლარენიც“ და „ფერარიც“ კმაყოფილი დარჩნენ მიღწეული შედეგით და ბარსელონაში ტესტებს შეუდგნენ. აქ კი კვლავ გამოჩნდა „მაკლარენის“ უპირატესობა. „ვერცხლისფერები“ კვლავ ყველაზე სწრაფნი იყვნენ, კულჰარდი 1.22,73, ჰაკინენი 1.22,88. მხოლოდ მათ შეძლეს ტრასის წუთსა და 23 წამზე ნაკლებ დროში გავლა. შუმახერი კი კულჰარდს 0,53 წამით ჩამორჩა. ასე რომ, ესპანეთშიც „მაკლარენის“ აშკარა უპირატესობაა მოსალოდნელი, თუმცა კი იქ „უილიამსი“ თავის „საიდუმლო იარაღის“ გამოყენებით იმუქრება, რისი დიდი იმედიც აქვს ჟაკ ვილნევს.

**ალეკო ჩაგუჩიანი**

# არც ეგრეა საქმე...

## უკანდელაკოდ, მაგრამ მაინც მედლის იმედით

შენ ლუკაშენკო უძახე და ბელარუსებისთვის ევროპის ჩემპიონატები ჩვეულებრივი ამბავი გახდა. აგერ, ახლახან მინსკში ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეები შეიკრიბნენ და კონტინენტური პირველობაც ჩაატარეს, 15 მაისიდან კი ბელარუსის დედაქალაქში მოკრივეთა ევროპული ჩემპიონატის რინგი გაეწყობა.



ზურაბ გუნია

— მარტში ნაკრები გიორგი კანდელაკმა ისტუმრა თავის მშობლიურ სოფელ ვარიანში გახსნილ საკრივო კლუბში — გვესაუბრება საქართველოს მოკრივეთა ნაკრების მწვრთნელი **ზურაბ გუნია** — მერე, აპრილში, ლიკანში ჩავედით საერთო-ფიზიკურად მოსამზადებლად, სამზადისის ბოლო ეტაპიც, 14 მაისამდე, ლიკანური გვექნება. ამ ყოველივეს, ცხადია, სპორტის დეპარტამენტის დაუხმარებლად ვერ შევძლებდით. ბიჭების მზადყოფნა ამჟამად სავსებით დამაკმაყოფილებელია, თუმცა ჩვენი ტრადიციული ხარვეზი ჩემს უთქმელადაც იცით — ქართველ მოკრივეებს ნაკლებად უხერხდებათ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა.

**— ვინ, რამდენი ჩვენიანი გავა მინსკის რინგზე?**

— საევროპოჩემპიონატო ლიცენზია ხუთ მოკრივეს აქვს: გიორგი კანდელაკს — თავისთავად, კობა გოგოლაძეს, რამაზ გაზაშვილს, თენგიზ ჯაოშვილს და ნაკრებში ყველაზე ახალგაზრდას ვლადიმერ ჭანტურიას. მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, კანდელაკმა ერთ-ერთი ვარჯიშისას ფეხი იღრძო, ვერა და ვერ მოხერხდა მისი დროულად განკურნება და მსოფლიოს ჩემპიონი ევროპის ჩემპიონატის გარეშე დაგვირჩა.

**— გიორგი კანდელაკსა და კობა გოგოლაძეს კუთვნილი ფულადი ჯილდოები საკმაო ხანს დაუგვიანეს და მათ საფუძვლიანი პრეტენზიები ჰქონდათ სპორტის დეპარტამენტის მიმართ. ამჟამად როგორაა საქმე?**

— შეპირებული ფულის ნაწილი მათ უკვე გადაეცათ, დარჩენილსაც ალბათ მალე მიიღებენ, ყოველ შემთხვევაში, როგორც კი სპორტის დეპარტამენტი ფინანსთა სამინისტროსგან თანხებს მიიღებს, დანაპირები დაუყოვნებლივ გაიცემა.

**— გიორგი კანდელაკის გამოკლება, ბუნებრივია, გეგმებს გიცვლიდათ. უმსოფლიოსჩემპიონოდ რას ისახავთ მინსკში, ჩვენს კვალობაზე წარმატების იმედი თუ გაქვთ?**

— საერთოდ, წარმატება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, როგორი იქნება მსაჯობა, წილისყრაც ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ. რაც მთავარია, ნუ დაგვავიწყდება, რომ შარშანდელი ნოემბრის მერე ჩვენი ბიჭები საერთაშორისო რინგზე არ გასულან.

**— ისე გამოდის, წარმატების, თუნდაც საჩვენოსი იმედი არ უნდა გვქონდეს...**

— არც ეგრეა საქმე. ერთ-ორ მედალს ვგეგმავთ, თუ გაგვიმართლა, იქნებ ოთხივე მოკრივემ მედალი მოიპოვოს. ცხადია, არც ის არის გამორიცხული, რომ საპრიზო ადგილების გარეშეც დავრჩეთ. მთავარი ბრძოლები რუსეთის, გერმანიის და ბულგარეთის მოკრივეებთან გვექნება.

**არჩილ მელიქიშვილი**



# არავითარი მოულოდნელობა!

თბილისის ჭადრაკის სასახლეში ნამდვილი საჭადრაკო ბუმია,.დიდი და პატარა ჭადრაკს თამაშობს. ყველა დარბაზსა თუ ოთახში ამნაირ სურათებს იხილავთ: ღრმად ჩაფიქრებული სახეები, ალაგ-ალაგ ნერვული ბოლთის ცემა, თეთრი და შავი ფიგურების უსასრულო მწკრივები და თითქმის აბსოლუტური სიჩუმე, რომელსაც დროდადრო საჭადრაკო საათი წკაპუნი თუ არღვევს მხოლოდ...

ქალთა ეროვნული ჩემპიონატის დასრულებისთანავე დაიწყო შოთა ინწკირველის მემორიალი 200-მდე პატარა მოჭადრაკის მონაწილეობით. 29 აპრილს მემორიალმა ესტაფეტა 14 წლამდე მოჭადრაკეთა ქვეყნის პირველობას გადაულოცა, ხოლო ეს უკანასკნელი 10 მაისს 10 წლამდე ვუნდერკინდების პირველობას დაუთმობს ადგილს.

ამ სასიამოვნო მრავალფეროვნების მიუხედავად, საერთო ყურადღება, ცხადია, მიმართულია საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის მეოთხედფინალისკენ, რომლებიც გუშინ დაიწყო ჭადრაკის სასახლის დიდ დარბაზში. რვა მოჭადრაკე, რომელნიც მეტწილად ჩვენი საჭადრაკო ელიტიდან არიან, „ნოკაუტ-სისტემით“ არკვევს უძლიერესის ვინაობას. ჩემპიონატმა მოისაკლისა მხოლოდ ქვეყნის პირველი მოჭადრაკე ვაჟი ზურაბ აზმაიფარაშვილი, რომელიც ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტიცაა და სწორედ საპრეზიდენტო საქმეებმა შეუშალა ხელი კოლეგებთან საპაექროდ. ჩემპიონატი გამოავლენს არა მხოლოდ ჩემპიონს, არამედ იმ სამეულსაც, რომელიც საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებში 1 ძირითად და ორ სათადარიგო ადგილს შეავსებს. დანარჩენი 3 ძირითადის ვინაობა ისედაც გარკვეულია: ზურაბ აზმაიფარაშვილს, გია გიორგაძეს და ზურაბ სტურუას თავიანთი მაღალი რეიტინგების წყალობით ნაკრებში მოხვედრა გარანტირებული აქვთ.

მეოთხედფინალის პირველი პარტიები, ცოტა არ იყოს, „მოსაწყენად“ გათამაშდა. არავითარი მოულოდნელობა! გაიმარჯვეს მეტწილად მათ, ვისაც ფავორიტებად მიიჩნევდნენ. გიორგაძემ შენგელიას სძლია, სტურუამ — დგებუაძეს, ბაღათუროვმ კი სუპატაშვილი დაამარცხა. ყველაზე დიდხანს ყაჭეიშვილ-ჯანჯღავას პარტია გაგრძელდა. ტაქტიკურ შეტაკებათა შემდეგ თამაში ენდშპილში გადავიდა და გარდა გვირგვინოსნებისა, თეთრებს მხოლოდ ლაზიერი და პაიკი შერჩათ, ხოლო შავებს — ეტლი, მხედარი და პაიკი. ლაზიერმა იმძლავრა და საბოლოოდ ჯანჯღავამ უხალისოდ გაუწოდა ხელი მეტოქეს, რაც დანებების ნიშანი იყო. ერთი სიტყვით, პირველი ტური უყაიმო გამოდგა, რაც ორშაბათის პარტიებს უეჭველად შემატებს ინტრიგასაც და ინტერესსაც.

**დავით გულუა**



# ამირანი და მისი რაზმი

— სადღეისოდ ეს შედეგი — ათი პრიზიორი და გუნდური მე-3 ადგილი — დამაკმაყოფილებელია, სხვა თუ არაფერი, არაერთი ქართველი ბიჭი პირველად მონაწილეობდა საერთაშორისო ტურნირში — ასე შეაფასა ანკარის საერთაშორისო ტურნირზე ჩვენი ჭაბუკი ძიუდოისტების მონაგარი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელმა ამირან ტოტიკაშვილმა. ტოტიკაშვილი შეგირდებს სამოსკოვოდ ანუ ჭაბუკთა მსოფლიო ოლიმპიადისთვის ამზადებს და ანკარის ტურნირიც საამისო სამზადისის ნაწილი იყო. მწვრთნელმა ანკარაში 28 აღსაზრდელი იახლა, ეს კი, ცხადია, იმის ნიშანია, რომ გუნდი ჯერაც ჩამოსაყალიბებელია. ტოტიკაშვილის თქმით, სამოსკოვო გუნდის შემადგენლობა 23-24 მაისს პოლონეთის საერთაშორისო ტურნირის შემდეგ დადგინდება. თურქეთიდან კი პრიზიორებად დაბრუნდნენ რუსლან გედენიძე (50 კგ), გელა ბარათაშვილი (55), ბორის თადუმაძე (66) და დავით გასვიანი (+90), რომლებიც მეორე ადგილზე გავიდნენ, მესამე ადგილი კი დაიკავეს ნიკოლოზ გილაშვილმა (60), დავით სებისკვერაძემ (66), გრიგოლ მამრიკიშვილმა (73), დავით ტყეშელაშვილმა (81), ზურაბ ზვიადაურმა (90) და დავით ხაბულიანმა (+90).

**მამუკა მიქუტიშვილი**



NBA PLAYOFFS

პირველი წრე

# ბარკლის ტკივილსაც არ შველიან

სერიის ანგარიში

**იუტა 2 ჰიუსტონი 2**

1 მაისი

**ჰიუსტონი 71:93 იუტა**

**ჰიუსტონი: ბალარდი (3), უილისი (8), ოლაჯუონი (27), დრექსლერი (11), მელოუნი (5); ბარკლი (8), ჯონსონი (5), პრაისი, ელი (2), ჰერინგტონი, ჯოუნსი, როუდსი (2)**

**იუტა: კიფი, მელოუნი (29), ფოსტერი, ჰორნაჩეკი (6), სტოქტონი (14); აისლი(4), ოსტერტაგი (5), რასელი (15), ანდერსონი (15), კარი (4), მორისი (1), ვონი**

„იუტა ჯაზი“ პარასკევ ღამით უსიამოვნო რეკორდსმენობას გადაურჩა, თორემ ისტორიაში მეორე პირველად განთესილი იქნებოდა, ვინც პირველსავე წრეში გავარდა. არადა, სოლტლეიკსიტელებმა მატჩი ისე უსუსურად დაიწყეს, ერთი ანტირეკორდის დამყარება პირველივე მეოთხედში მოახერხეს — ასე ცოტა, 10 ქულა, პლეი ოფში აქამდე ჰიუსტონელთა არცერთ მეტოქეს არ გაეკეთებინა. შეხვედრა ჯაზელებისთვის შეიძლება ასევე დასრულებულიყო, მაგრამ მეორე მეოთხედის დასაწყისში „რაკეტების“ სულისჩამდგმელი 8 წუთში 8 ქულის მომპოვებელი ჩარლზ ბარკლი ანტუან კარის იდაყვი ნამეტნავად ემწარა და შეცვლა მოითხოვა. იგი მაშინვე ექიმთან გააქანეს, მარჯვენა ხელზე სამთავა კუნთის დაზიანება დაუდგინეს და უკან ყინულებში შეფუთული მოაბრუნეს. სერ ჩერლზი მერე უშედეგოდ ცდილობდა სათადარიგოთა სკამზე მარჯვენა ხელით ბურთის აწევას, ერთხელ თამაშიც კი მოინდომა, მაგრამ კლაიდ დრექსლერის პასი რომ ვერ დაიჭირა, ხელი ჩაიქნია და დარჩენილი დროის განმავლობაში თავზეხელებშემოჭდობილი ადევნებდა თვალს თავისიანთა საცოდაობას.

„შესვენებაზე ჩემები სასტიკად შევახურე, ისტორიაში სამარცხვინოდ შედიხართმეთქი — ჩვენ ხომ სასტიკად გვანადგურებდნენ და მათაც თავის შეწუხება იკადრეს. გაგვიმართლა, რომ ახლა შინ მიბრუნება და კიდევ ერთი მატჩი გველის“ — განაცხადა მოგვიანებით იუტელთა მწვრთნელმა ჯერი სლოუნმა. მისი შეგირდები პირველი ტაიმის შემდეგ მართლაც შეცვლილები მობრუნდნენ, მესამე მეოთხედის ბოლოს მატჩში პირველადაც დაწინაურდნენ (57:56) და მეორე 24 წუთი 57:29 მოიგეს. ჰიუსტონელთაგან ერთადერთი ოლაჯუონილა იბრძოდა, მაგრამ რაკილა მის გარდა ჩამგდები კაცი არ იყო, ბურთის მიღებისთანავე ერთბაშად სამი იუტელი ეცემოდა ხოლმე და „დრიმსაც“ აღარაფერი გამოსდიოდა.

თამაშის შემდეგ ბარკლისა და მთელი ჰიუსტონის ჩემპიონად გახდომის იმედებს, ალბათ, საბოლოოდ გადაესვა ხაზი —



შარლოტი — ატლანტა. ვლადე დივაცი და ენტონი მილერი ჯიუტი თხებივით...

თიაქრისგან ისედაც საკმაოდ შეჭირვებულ სერ ჩერლზს სამთავა კუნთიც გაწყვეტოდა, პლეი ოფში ასპარეზობას ველარ შეძლებს და დღეს შეიძლება ოპერაციაც დასჭირდეს.

რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, იუტაში ბარკლის ავადმყოფობისა არა სჯერათ. „მასმედიას ისევე ეხერხება ტყუილები, როგორც ჩვენს მთავრობას, ბარკლი ალბათ ითამაშებს“ — ასეთი იყო ბრაიან რასელის აზრი. „ჩვენ ამ ანკესზე არ წამოვეგებით, ეს ძველი ხრიკია“ — განაცხადა კარლ მელოუნმა. ბარკლით თუ უბარკლოდ, სერია მოგებულად არც ჯერი სლოუნს მიაჩნია: „თუ გინდა დარწმუნებული იყო, რომ ოლაჯუონის გაჩერებას მოახერხებ, ჯობს, ორივე ხელი მოტეხო, თორემ მაინც გაგამწარებს. მის წინააღმდეგ ჩვენ ტრადიციულად ცუდად ვთამაშობთ.“

**შარლოტი 3 ატლანტა 1**

**ატლანტა 82:91 შარლოტი**

**ატლანტა: კორბინი, ჰენდერსონი (11), მუტომბო (8), სმიტი (27), ბლეილოკი (17); ლეიტნერი (10), რაკასნერი (5), ბრაუნი (2), მილერი (2)**

**შარლოტი: რაისი (26), მეისონი (29), დივაცი (11), ფილსი (2), უესლი (13); კარი (8), რეიდი (2), არმსტრონგი**

სერიის დაწყებისას გამარჯვებას ყველა ატლანტას უწინასწარმეტყველებდა, რომელმაც მეტოქეს რეგულარულ სეზონში ოთხივე შეხვედრა მოუგო, მაგრამ პლეი ოფი პლეი ოფია და NBA-ს ხუთგზის ჩემპიონ ჩიკაგოს ჯორჯიელები წელს ველარ გაეჯიბრებიან.



სერ ჩარლზი დაღონებულა...

მატჩის ბედი კი, სერიის მეორე შეხვედრისა არ იყოს, ისევ ენტონი მეისონის ბრწყინვალე თამაშმა გადაწყვიტა. კალათბურთელმა, რომელსაც ორიოდე თვის წინ 15 წლის დების გაუპატიურებაში ბრალდების გამო სასამართლოში ჰქონდა საქმე, თავისი 29 ქულიდან 13 მეოთხე მეოთხედში მიითვალა, თანაც უმეტესობა სწრაფი დრიბლინგისა და რამდენიმე მეტოქის მოტყუების შედეგად.

„მეისონი განსაცვიფრებელი იყო, მეოთხე მეოთხედში თამაში მთლიანად საკუთარ თავზე აიღო, მასზე უკეთ კი ეს ბევრს არ ეხერხება“ — განაცხადა მატჩის შემდეგ შარლოტელთა ალბათ უკვე ექსლიდერმა გლენ რაისმა. ქების სიტყვები არც ატლანტელთა ლიდერ სტივ სმიტს დაუშურებია: „მეისონი პატივისცემის მეტს არაფერს იმსახურებს. მან მთელი თამაში საკუთარ მხრებზე გადაიტანა.“

ატლანტა, რომელმაც სერიაში პირველი ნახევრის ორნიშნაციფრიანი უპირატესობა ოთხიდან მხოლოდ ერთხელ შეინარჩუნა ბოლომდე, 1995 წლის შემდეგ პირველად გავარდა პირველივე წრეში, შარლოტმა კი თავის ისტორიაში ოდენ მეორედ უწია კონფერენციის ნახევარფინალს.

მატჩის დროს ერთი უჩვეულო რამაც მოხდა: პირველი ნახევარი ორი წუთის დაწყებული იყო, შარლოტელთა შეტევისთვის დარჩენილი დროის მანიშნებელი 24-წამიანი ტაბლო რომ მოიშალა და სტუმრებს დარჩენილ წამებს დინამიკებით ატყობინებდნენ. თუმცა „რატომღაც“ ზოგჯერ ესეც ავიწყდებოდათ ხოლმე, რამაც შარლოტელთა მწვრთნელი დეივ კოუენსი სასტიკად განარისხა. მეორე ნახევრის დასაწყისში, როდესაც იმ ფარზე მასპინძელთა შეტევის დრო დადგა, ტაბლო მოულოდნელად გაკეთდა.

**სიეტლი 3 მინესოტა 2**

2 მაისი

**სიეტლი 97:84 მინესოტა**

**სიეტლი: ბეიკერი (11), შრემპფი (16), კერსი (6), ჰოკინსი (24), პეიტონი (29); ელისი (4), პერკინსი (2), მაკმილანი (2), ენტონი (3)**

**მინესოტა: მიჩელი (16), პორტერი (14), გარნეტი (7), პილერი (28), ჰემონდსი (5); ჯორდანი (7), მარბერი (7)**

ბოლოს და ბოლოს, ბებერმა და გამოცდილმა სიეტლმა ახალგაზრდა მინესოტას ენთუზიაზმს ძალა და სიზუსტე დაუპირისპირა და პირველ წრეშივე გავარდნასაც გადაურჩა.

ლომის წილი ზებგერითების წარმატებაში გუნდის უცვლელმა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ლიდერმა — გარი პეიტონმა დაიდო, რომელმაც 48-ვე წუთი ითამაშა და თავისიანებს 29 ქულა, 4 პასი და 4 ჩაჭრა შეაწია, მესამე მეოთხედის ბოლოს მისი ჩაგდებული სამქულიანი კი, რომელიც ორი მინესოტელის ერთი მოძრაობით ჩამოცილებით გააჩერხა, ყველა სპორტული არხის ეთერში მოხვდა.

„ნათელია, რომ ჩემმა ახალგაზრდებმა დღეს ისე ვერ ითამაშეს, როგორც შეუძლიათ“ — თქვა მატჩის შემდეგ „მგლების“ ლამის ერთადერთმა ვეტერანმა ტერი პორტერმა თანაგუნდელ კევინ გარნეტსა და სტივენ მარბერიზე. მინესოტელთა ლიდერებს მართლაც არ დაუდგათ კარგი დღე— ორივემ ერთად მხოლოდ 14 ქულა მიითვალა, 21-დან 5 სროლა ჩააგდეს და ბურთიც 15-ჯერ დაკარგეს (აქედან სარეკორდოდ, 10-ჯერ გარნეტმა).

„რას ვგრძნობ ახლა? ზიზღს. მეზიზღება წაგება, მეზიზღება ჩემი დღევანდელი თამაში, რომელიც დამარცხებად დაგვიჯდა“ — ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე გარნეტი მატჩის შემდეგ საშინელ ხასიათზე იყო, ისევე, როგორც პეიტონთან საუკეთესო გამთამაშებლობისთვის მოცილე მარბერი: „გამოცდილებამ თავისი გაიტანა. მათ იცოდნენ, როდის რა უნდა ეკეთებინათ. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ მხოლოდ 21 წლისანი ვართ. როცა 23-24-ის ან 25-ის გავხდებით, ჩვენი შეჩერება შეუძლებელი იქნება.“

**ავთანდილ სვანიძე**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის

ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
**ზურაბ ფოცხვერია**

რედაქტორი
**თამაზ მიგრიაული**

ტექნიკური რედაქტორი
**გურამ ხელაშვილი**

სარედაქციო კოლეგია:
**ილია ბაბუნაშვილი**
**ვახტანგ ბზიკაძე**
**ზურაბ მეძველია**

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შენგელაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვთილაძე

სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
**გიორგი ოქრომჭედლიძე**

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29